ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.
გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა შაბათს
№79 (1589) 5-8 აგვისტო, 1997 წელი

## რა, ვაცალოთ, მაფიის განმტკიცება?

### ღია წერილი მოქალაქეთა კავშირის ზედა ფენებს...

მანანა გიგინეიშვილი თავის დროზე ჯაბა იოსელიანსა და „მხედრიონს" დაუდგა ქომაგად. ყველას გვახსოვს მისი სიტყვები: ჯაბა ის ყაჩაღია, ქრისტეზე ადრე რომ შევიდა სასუფეველშიო.

3

## პარლამენტარის ერთი ლექსი

გერმანე ფაცაცია

### ...სამშობლო და ღირსება?!

8

## წყალი გველეშაპმა გადაგვიკეტა...

2

## პროფესორი ალასანია მოერევა პროფესორ სიუნის?

4

## ნოდარ ნათაძე „შავი სიის" შესახებ



გაზეთმა „საქართველომ" (№78) გამოაქვეყნა მასალა „შავი სია" (პირველ გვერდზე). მე ამ „სიის" შესახებ დამატებითი ინფორმაცია მაქვს: ეს სია *ყალბია* და ამგვარი სიის არსებობის ვერსიაც *ყალბია*. ეს სიყალბე შეთხზულია საქართველოს პროკურატურაში ან გადაცემულია საქართველოს პროკურატურისათვის იმ მიზნით, რომ იმდროინდელი ხელისუფლების არადემოკრატიული ბუნება დაამტკიცოს. მე რაზმაძემ ეს „სია" მაჩვენა, მაგრამ იმავე შენობაში იმავე დღეს გამიმხილა ***სხვამ***, რომ ეს სია ნაყალბევია. რაზმაძე, მართალია, პრეზიდენტ გამსახურდიას ხელქვეითი იყო, როგორც გენერალური პროკურორი, მაგრამ, როგორც გაირკვა შემდგომ, მალულად მუშაობდა მის წინააღმდეგ მისი მომავალი დისკრედიტაციის მომზადების მიმართულებით. ეს ყალბი სია ერთადერთი არ არის. იყო სხვაც, რომელიც უნივერსიტეტის ბაღში ოპოზიციურ მიტინგზე რამდენიმე ასეულ ცალად გაქსეროქსებული მიიტანა რეზო ამაშუკელმა და კიდევ ვიღაცამ (იმ მეორე პროვოკატორის ვინაობა ვერ გავიხსენე): ეს იყო ვითომ გამსახურდიას წერილი „გეკაჩეპესადმი" იმის თხოვნით, რომ ქართველი პარლამენტარების გარკვეულ ჯგუფს გასწორებოდნენ მომავალში. გამსახურდიას რუსული ფაქსიმილე ზუსტი იყო. „დოკუმენტის" სიყალბეს მხოლოდ იმით მივხვდით, რომ ადამიას გვარი რუსულად „Я"-თი იყო დაწერილი („Адамия" და არა „Адамиа"), იმ დროს როცა გამსახურდიამ ძალიან კარგად იცოდა, რომ ქართული გვარების „ია" დაბოლოება „რუსულად „иа"-თი უნდა გადმოიცემოდეს.

რაზმაძეს სხვა „გმირობაც" აქვს ჩადენილი. მან, გენერალურმა პროკურორმა, დევნილ პრეზიდენტ გამსახურდიას მისი სომხეთში ყოფნის დროს წაუყენა ოსების „გენოციდის" ყალბი ბრალდება (ე.ი. *საქართველოს* წაუყენა ყალბი ბრალდება ადამიანობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისა) იმ ერთადერთი მიზნით, რომ მოეთხოვა გამსახურდიას გადაცემა „სამხედრო საბჭოსათვის"!

**ნოდარ ნათაძე**

## ჩეჩნეთის წარმომადგენლობა მიმართვით გამოვიდა

საქართველოში ჩეჩნეთის წარმომადგენელმა ხიზრი ალდამოვმა ჩეჩნეთის პრეზიდენტისა და ხალხის სახელით თბილისში საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტისა და ხალხისადმი მიმართვა გამოგზავნა, რომელშიც მხარდაჭერაა გამოხატული ედუარდ შევარდნაძის პოლიტიკისადმი აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიან დარეგულირებაში და დაგმობილია „ზოგიერთი ძალების, პირველ რიგში რუსეთში, მცდელობა კვლავ ერთმანეთს დაუპირისპირონ ჩეჩენი და ქართველი ხალხები".

ამასთანავე, მიმართვაში, რომლის ტექსტი პრაიმ-ნიუსმა ფაქსით მიიღო საქართველოში ჩეჩნეთის წარმომადგენლობისაგან, ნათქვამია, რომ ჩეჩნეთში და მთლიანად ჩრდილოეთ კავკასიაში დიდი ოდენობით იარაღია თავმოყრილი, რომელიც ვერ კონტროლდება და ხშირად იმათ ხელშია, ვისი ქმედებები ხშირად არ ემთხვევა ოფიციალურ ხელისუფლების პოზიციებს".

თავის მიმართვაში ხიზრი ალდამოვი წუხილს გამოთქვამს იმის გამო, რომ ჩეჩნეთში, „სადაც 50 ათასამდე შეიარაღებული პირი იმყოფება, რომელთა მხოლოდ ნაწილია გაერთიანებული ჩეჩნეთის შეიარაღებულ ძალებში, გარკვეული დესტრუქციული ძალების მუშაობა მიმდინარეობს მათი აფხაზეთის კონფლიქტის ჩასათრევად".

ცოტა ხნის წინ თბილისში კარგად ინფორმირებული წყაროების ცნობების მიხედვით, ახალ ათონში ჩავიდა ჩეჩენ ბოევიკთა ჯგუფი ცნობილი საველე მეთაურის შამილ ბასაევის მეთაურობით. ამ ინფორმაციის გავრცელებისთანავე, იგივე წყაროს ცნობით, ბასაევი ჩეჩნეთში გაბრუნდა. რაც შეეხება მის მებრძოლებს, ისინი ახალი ათონის ორ სანატორიუმში განათავსეს.

შამილ ბასაევი, ადრე აფხაზეთის ხელისუფლების თავდაცვის მინისტრი სოხუმში, შემდეგ ჩეჩნების ჯგუფის მიერ ბუდიონოვსკში (რუსეთი, სტავროპოლის მხარე) მძევლების აყვანის ოპერაციის მეთაური, ჩეჩნეთში საომარი მოქმედებების დასრულების შემდეგ პრეზიდენტის ასლან მასხადოვის მთავრობაშიც შედიოდა, თუმცა ცოტა ხნის წინ პრეზიდენტთან უთანხმოების გამო თანამდებობიდან გადადგა.

„აფხაზეთის ომში მიღებული მწარე გამოცდილების მიღების შემდეგ, ჩვენ გვინდა ბოლო მოვუღოთ მსგავს პროვოკაციებს და ამისკენ ერთადერთი სწორი გზაა მეგობრული და კეთილმეზობლური ურთიერთობების დამყარება საქართველოსა და იჩქერიას შორის, რაც არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებს და არ შეიძლება შეფასდეს მტრობის გამოვლენად ჩვენი სხვა მეზობლებისადმი" – ნათქვამია მიმართვაში.

ალდამოვი თვლის, რომ „პროვოკაციების აღკვეთისაკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი" საქართველოსა და ჩეჩნეთის პრეზიდენტების შეხვედრა უნდა გახდეს. (პრაიმ-ნიუსი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## აფხაზები საბჭოთა ჯარისკაცების მეთოდით...

ჯერჯერობით ბოლომდე არ არის გამოკვლეული ის ფაქტი, რომელსაც გულრიფშის რაიონის სოფელ მერხეულში ჰქონდა ადგილი 17 ივლისს, როდესაც „თეთრი ლეგიონის" ფორმაში გადაცმულმა აფხაზებმა ქართველ პარტიზანებად გაასაღეს თავი და ამოხოცეს კვაშილავებისა და ლვინჯილიების ოჯახებიდან 6 კაცი და გააუპატიურეს 18 წლის ქალიშვილი.

სარწმუნო წყაროებზე დაყრდნობით, გეა-ს კორესპონდენტისთვის ცნობილი გახდა, რომ აფხაზებმა ისინი ქართველ პარტიზანებთან კავშირის გამო დახოცეს.

## მოსალოდნელია საპროტესტო გამოსვლები

სარწმუნო წყაროებზე დაყრდნობით ცნობილი გახდა, რომ ზუგდიდის რაიონში განსახლებული 57000 ლტოლვილი აპირებს საპროტესტო გამოსვლას ხელისუფლებისადმი მოთხოვნებით: დროზე გადაწყდეს დევნილთა დაბრუნების, რუსეთის სამშვიდობო ძალების გაყვანისა და ჰუმანიტარული დახმარებების დროულად გაცემის საკითხები.

თუ ხელისუფლება არ დააკმაყოფილებს მათ მოთხოვნებს, შესაძლოა გამოსვლებმა საკმაოდ სერიოზული სახე მიიღოს, რადგან სამეგრელოში მცხოვრები ლტოლვილები, ფაქტობრივად, შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამო, შიმშილობენ.

## შეხვედრა სახელმწიფო მინისტრთან

„ჩვენი ვიზიტის მიზანია კიდევ ერთხელ მოვახდინოთ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის რწმუნებული ეკლესიის, ქართველი ერისა და საქართველოში მიმდინარე პროცესების მიმართ მხარდაჭერის დემონსტრირება" – განაცხადა ვაშინგტონის მთავარეპისკოპოსმა, სრულიად ამერიკისა და კანადის მიტროპოლიტმა თეოდოსიუსმა სახელმწიფო მინისტრთან ნ.ლეკიშვილთან გუშინ გამართულ შეხვედრაზე. სტუმარმა განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო იმ ფაქტს, რომ საქართველოში მის ვიზიტს წინ უძღოდა უკრაინაში ვიზიტი, რაც ამ ორი სახელმწიფოსადმი აშშ-ს განსაკუთრებულ დამოკიდებულებასა და დაინტერესებაზე მიუთითებს.

სახელმწიფო მინისტრმა ნ.ლეკიშვილმა ხაზი გაუსვა ასეთი მაღალი რანგის დელეგაციის საქართველოში ვიზიტის მნიშვნელობას, რომელმაც კიდევ ერთხელ დაადასტურა ორ ქვეყანას შორის მრავალმხრივი ურთიერთობების ახალ ფაზაში შესვლის ფაქტი. (იფრინდა)

# წყალი გველეშაპმა გადაგვიკეტა...

### გაზეთ „საქართველოს" რედაქტორს ბ-ნ ნ.გრიგალაშვილს

ბ-ნო ნოდარ! ა/წ 29 ივლისს, დილის 7 საათზე, ბორჯომის რაიონის სოფ.ყვიბისში რაიონის ხელისუფლებამ ჩაატარა ერთი ვანდალური აქტი. თვითმხილველების ჩვენებით სკოლის წინ მდებარე მინერალური წყლის ბუდლთან თავი მოიყარეს მეზობელი რაიონებისა და ბორჯომის მილიციის წარმომადგენლებმა, მოიყვანეს ავტო ამწე-კრანი, მოხსნეს ბურღს სახურავი, დაანგრიეს დანადგარები და მილს, საიდანაც მოსჩქეფს ღვთის ნაჩუქარი „ბორჯომი", დაადეს დიდი სინკარი. ამით ჩაკეტეს წყლის გამოსასვლელი. არ ვიცი ამ ამბავს როგორ შეხედავენ გეოლოგები (ხომ შეიძლება საერთოდ შეწყდეს წყლის ამოდენა), მაგრამ ჩვენი და მეზობელი სოფლების მოსახლეობაში გამოიწვია უდიდესი აღშფოთება. როგორც რაიონის გამგებელს ბ-ნ ვ.ბერიძეს განუცხადებია, ბურღის დანგრევის გადაწყვეტილების მიღება მოხდა არა მის დონეზედ, არამედ ზევით, ე.ი. მთავრობაში. ბურღის დანგრევის საბაბი გახდა ის, რომ სოფლების მოსახლეობის დიდი ნაწილი აწარმოებს მინერალური წყლის კერძოდ ჩამოსხმას და რეალიზაციას ლუკმა-პურის საშოვნელად.

რაიონის ხელმძღვანელობამ მრავალჯერ დააყენა საკითხი კერძო ჩამოსხმის აკრძალვის შესახებ, მაგრამ ამაოდ. მოსახლეობა მიმართავდა აქციების სხვადასხვა ფორმებს, რათა შეენარჩუნებინათ ლუკმა-პურის შოვნის საშუალება. ბოლოს საქმე მივიდა ბურღის დალუქვამდე.

ბ-ნო ნოდარ! გეხსომებათ, თუ როგორი აჟიოტაჟი იყო ატეხილი ტელევიზიაში, რათა როგორმე ჩამოეცილებინათ მყიდველი კერძო ჩამომსხმელებისაგან, მაგრამ ეს არ მოხერხდა, რადგან მყიდველი ხალხი ისევე ღატაკია, როგორც გამყიდველები და ხედავენ, რომ მათი წყალი კი არ ჩამოუვარდება ხარისხით ქარხნის წყალს, არამედ ხშირად სჯობნის მას.

საბაზრო ეკონომიკა თვითონ არეგულირებს ამ საკითხს. ხალხი ყიდულობს კერძოდ ჩამოსხმულ წყალს და უარს ამბობს ქარხნის წყალზე. რატომ? იმიტომ, რომ კერძო წყალი 5-ჯერ იაფია და არც ხარისხი აკლია.

ამრიგად, თანახმად კაპიტალიზმის კანონებისა, ბაზარმა ყველაფერი თავის ადგილზე დააყენა.

ამით გაჯავრებული ქარხნისა და ნებადართული ფირმების მესვეურები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ჩაქოლონ კერძო ჩამოსხმა და ლუკმა-პური წაართვან მრავალათასიან მოსახლეობას. ისინი არ იშურებენ თანხებს, ათასგვარი რეკლამებისა და ქრთამების სახით, რომ როგორმე შეწყვიტონ კერძო ჩამოსხმა.

თუ საქმე შეეხება ფარულ ეკონომიკას და ბიუჯეტში თანხების შეუტანლობას, მოსახლეობამ მიმართა გამგებელს, რომ ისინი შეისყიდიან ან არენდით გაიფორმებენ ბურღს და გაშვებული წყლის რაოდენობის მიხედვით შეიტანენ ბიუჯეტში თანხებს, რაც არც ისე მცირე იქნება. მაგრამ ამ წინადადებაზე გამგებელი უარზეა.

ბ-ნო ნოდარ! ადგილობრივი მოსახლეობის აზრით კერძო ჩამოსხმის ამკრძალავები არიან ის მაფიოზური კლანები, რომლებიც სათავეში უდგანან „ბორჯომის" წყლის ჩამოსხმას და არა მთავრობა.

რა ქნას ხალხმა, თუ ბურღის დაკეტვით ლუკმა-პური დაკარგა?

კი ბატონო, ჩვენ თანახმა ვართ იმუშაოს ქარხნებმა და მოგვეცით სამუშაო. ან გააიაფონ წყალი, რომ ჩვენ შევისყიდოთ და გავიტანოთ გასაყიდად, ამით არ დავკარგავთ ლუკმა-პურის შოვნის საშუალებას.

ბ-ნო ნოდარ! გთხოვთ გულთან ახლოს მიიტანოთ მრავალათასიანი მოსახლეობის უაღრესად გაჭირვებული მდგომარეობა, ჩაატაროთ ჟურნალისტური გამოძიება, თუ საიდან მომდინარეობს ეს აკრძალვა და ბურღის დაკეტვის ვანდალური აქტი, ან იქნებ თქვენი გაზეთის საშუალებით ჩაატაროთ იმ მოსახლეობის გამოკითხვა, რომლებიც ყიდულობენ კერძოდ ჩამოსხმულ წყალს და მათი აზრი გააცნოთ საზოგადოებას და ჩვენს ადგილობრივ ხელისუფლებას.



ხელს აწერს სოფ.ყვიბისის, რველის, ვაშლოვანის, ბეშეთის და სხვა სოფლების მოსახლეობა.

*რედაქტორისაგან: ჩემო ძვირფასო თანამემამულენო! თქვენს მიერ წამოჭრილი საკითხი იმდენად მძიმე და საჭირბოროტოა, რომ მის შესწავლას და, როგორც თქვენ ამბობთ, ჟურნალისტურ ძიებას, გარკვეული დრო დასჭირდება. ვიმედოვნებ, მაფიაზე ბოლოს მაინც თქვენ გაიმარჯვებთ, რაშიც, ცხადია, ყველა წესიერი ქართველი, ვინც მხოლოდ სიტყვით არ ზრუნავს ხალხზე და მათი ტკივილი მართლაც სტკივა, თქვენ გვერდში დაგიდგებათ, მაგრამ ამჯერად ხუმრობაგაშვებით, თუ არ მიწყენთ, ერთი საყვედური მინდა მოგცეთ.*

*კი მაგრამ, ჯერ კიდევ წელიწადნახევრის წინ გაზეთ „საქართველოდან" მე ხომ მთელი საქართველო გავაფრთხილე, ბორჯომის გამგებელს, ვაჟა ბერიძეს, ივივე როდიონოვის მართვეს, დილაბნელზე უცნაური აზრები მოსდის თავში და მზის ამოსვლამდე თუ სადმე შეგხვდეთ, უფრთხილდით-მეთქი. ამ წელიწადნახევრის წინ, დილაუთენია, ნაჯახმომარჯვებული, გამგეობის წინ მდგარ ხეებს დარევია ეს შერჩენებული და გონება მხოლოდ მზის ამოსვლისა და რაიონის პროკურორის გამოჩენისას დაბრუნებია...*

*იმჟამად, ჩემმა წერილმა, ნაჯახის ტარების ავი სენისაგან განკურნა, მაგრამ ამ კაი დედიშვილს, როგორც ჩანს, სენმა ისევ გაუმეორა. ამ ხნის მანძილზე ყურადღება თქვენც მოგიდუნდათ და, აი, შედეგიც. დილაუთენია ახლა ამწეკრანით გაჩენილა პატარა შენობის დასანგრევად, მიწიდან მოჩუხჩუხე „ბორჯომის" მიწაშივე ჩასაბრუნებლად... ყურადღება არ უნდა მოგედუნებიათ, მეგობრებო, მაგ კაცს ფარსაგი საქმე, აკი გითხარით, დილით ემართება ხოლმე და მორიგეობა უნდა გამოცხადდეს, თუ დილით თქვენს გამგებელს გააუვნებელყოფთ, მერე საშიში აღარ არის, მერე ზის რესტორანში და დილინებს, არც არაფერს აკეთებს და არც არაფერს აფუჭებს...*

*პატივისცემით,*

**ნოდარ გრიგალაშვილი**



## სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია მეორე ოფიციალური ვიზიტით ეწვევა აშშ-ს

ამერიკისა და კანადის მართლმადიდებელი ეკლესიის მიტროპოლიტის, ვაშინგტონის არქიეპისკოპოსის თეოდოსიუსის მიწვევით მომავალ წელს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია მეორე ოფიციალური ვიზიტის ეწვევა ამერიკის შეერთებულ შტატებს.

„მოხარული ვარ, რომ მომეცა საშუალება ულრმესი სიყვარული და მხარდაჭერა გამომეხატა საქართველოსა და მისი ხალხისადმი" – თქვა მიტროპოლიტმა თეოდოსიუსმა, რომელიც ილია მეორესთან ერთად გუშინ საქართველოს პრეზიდენტს შეხვდა.

„ერის ჯანსაღი სულის გარეშე შეუძლებელია დამოუკიდებელი და დემოკრატიული ქვეყნის მშენებლობა" – თქვა ედუარდ შევარდნაძემ შეხვედრაზე – იუწყება პრეზიდენტის პრეს-სამსახური.

შევარდნაძემ მადლობა გადაუხადა ამერიკისა და კანადის მიტროპოლიტს ამ ქვეყნების მიერ საქართველოსთვის უმძიმეს პერიოდში გაწეული უანგარო დახმარებისთვის. (პრაიმ-ნიუსი)

## ხომ არ დაიწყო?

3 აგვისტოს ღამით აფხაზეთის მილიციამ 14 ქართველი მშვიდობიანი მოქალაქე დახვრიტა გულრიფშის რაიონის სოფელ მეხრეულში (კოდორის ხეობა) – იტყობინებიან სხვადასხვა წყაროები.

როგორც პრაიმ-ნიუსს პარტიზანული რაზმის „თეთრი ლეგიონის" წარმომადგენელმა უთხრა, რომელმაც მოითხოვა მისი სახელი არ დასახელებულიყო, „სეპარატისტების მიერ 14 ქართველის დახვრეტის მიზეზი ის გახდა, რომ მათ რამდენიმე დღის წინ „თეთრი ლეგიონის" წევრებს უმასპინძლეს".

აფხაზეთის დევნილი უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ თამაზ ნადარეიშვილმა თბილისში დაადასტურა ეს ინფორმაცია და თქვა, რომ „აფხაზეთის მილიციამ ჩაატარა ოპერაცია, რომლის დროს მერხეულის მოსახლეობას თავი გააცნო, როგორც „თეთრი ლეგიონის" წევრები".

ნადარეიშვილის თქმით, „ქართველებმა სიხარულით უმასპინძლეს „თეთრი ლეგიონის" წევრად გაცნობილ აფხაზურ მილიციას. 14 ადამიანი აფხაზმა სეპარატისტებმა ქართველ პარტიზანებთან თანამშრომლობაში დაადანაშაულეს და დახვრიტეს.

„ივლისის ბოლო რიცხვებში გალის რაიონში აფხაზურმა მილიციამ აგრეთვე დააკავა 6 ქართველი, რომელთა ბედი დღემდე უცნობია", – თქვა თამაზ ნადარეიშვილმა.

პარტიზანული რაზმი „თეთრი ლეგიონი", რომელიც 1996 წელს შეიქმნა და ცნობილია აფხაზური მხარის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე დივერსიული საქმიანობით, რაზმის ხელმძღვანელობის განცხადებით, „თეთრი ლეგიონი" აერთიანებს 1000-მდე მეომარს. (პრაიმ-ნიუსი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

● მკვახე შეძახილი

# რა, ვაცალოთ, მაფიის განმტკიცება?

## ღია წერილი მოქალაქეთა კავშირის ზედა ფენებს...

„დილის გაზეთმა“ (18 ივლისის ნომერი) გამოაქვეყნა მოქალაქეთა კავშირის ზედაფენის მიმართვა „მიეცით ახალგაზრდებს საშუალება, აკეთონ საქმე“, დამშვენებული 25 ხელმოწერით.

მთელი მიმართვა ისეთივე შთამაგონებელი და გულისამაჩუყებელია, როგორც სათაური და საქმეში ჩაუხედავი კაცი შეუძლებელია აღშფოთებით არ განეწყოს იმ პიროვნებათა მიმართ, რომელთაც „უკადრისი კამპანია“ წამოუწყიათ სამაგალითო ახალგაზრდების – გიორგი ბარამიძისა და მიხეილ მაჭავარიანის – მიმართ და მათთვის თავს დაუტეხიათ „ლვარძლისა და ცილისწამებათა წყება“. თურმე მათ „ცილი დასწამეს იმაში, რაც არცკი დასიზმრებიათ“.

„გთხოვთ, ბატონებო! მიეცით ახალგაზრდებს საშუალება, მშვიდად აკეთონ თავიანთი საქმე. საქმე, რომელიც ასე სჭირდება ჩვენს ქვეყანას“ – ევედრებიან მიმართვის ავტორები და, თანაც ფიქრობენ, იქნებ ვედრებამ არ გასჭრასო და მუქარასაც მოადევნებენ: „...ამის შემდეგ მსგავსი მასალის გამოქვეყნებისას ჩათვალეთ, რომ ჩვენც იმავეს გვდებთ ბრალს, ვერ მოგცემთ უფლებას გალანძღოთ ახალგაზრდები, რომელთა საქმიანობა მხოლოდ სამაგალითოა თანატოლთათვის“.

თავისთავად სწორი აზრია, რომ სამაგალითო ახალგაზრდები არ უნდა გაილანძღონ. სამაგალითო კი არა, სრულიად რიგით ახალგაზრდასაც უნდა ჰქონდეს გარანტია, რომ თავის საქმიანობაში ხელს არ შეუშლიან. მაგრამ ვითომ მართლა ისეა ვითარება, როგორც მიმართვის ავტორები წარმოგვიდგენენ?

საქმეში ჩაუხედავი კაცი ვახსენეთ და მისი მოტყუება სიტყვათა ამ კორიანტელით ძნელი არ იქნება (მიმართვის მიზანი ამაზეა გათვლილი), მაგრამ უბირი ადამიანების გარდა ხომ არსებობენ ის პიროვნებანი, რომელნიც გაერკვნენ იმ ხლართებში, ბარამიძე-მაჭავარიანის ტანდემმა რომ შექმნა და ისე გათავხედდნენ, ჩვენი ავტორებისთანა ადამიანების მხარდაჭერით, მფარველებად მოევლინენ ბანდიტურ ჯგუფს.

როცა ბანდიტურ ჯგუფს მთავრობის ჩინოსანი მოხელენი უდგანან ქომაგად, მაფია ამას ჰქვია, სხვას კი არაფერს.

საამისო საბუთები და მონაცემები უხვად არის ბოლო ოთხი თვის ქართულ პრესაში, მაგრამ მიმართვის ხელისმომწერთა ხათრით ყურადღება რომ არაფერს მივაქციოთ, იმაზე მაინც როგორ დავხუჭოთ თვალი, ეს ორი სამაგალითო ახალგაზრდა თავგადაკლული რომ ცდილობს კონტრაბანდისტი (როგორც თვითონვე აღიარა) და ბანდიტობის ორგანიზატორობაში მხილებული (როგორც პროკურატურა ამბობს) ფირმა „ელიზის“ პრეზიდენტის გამოხსნას სასჯელისაგან? ან იმაზე რას იტყვით, ბანდიტური ჯგუფის ადვოკატი ქართლოს (თიკუნი: ესენგოსა) ღარიბაშვილი სწორედ მათ რომ ასახელებს „ელიზის“ მფარველებად და პირადად ბარამიძის სახელით აყენებს მუქარის კორიანტელს?

არ გინდათ ხომ სიმართლეს თვალი გაუსწოროთ?

თქვენ არ გინდათ, მათ უნდათ, ვისთვისაც საქართველოს ბუნებრივი გზით განვითარებაა მიზანი და არა მაფიის კლანჭებში ჩაგდება ისედაც გაუბედურებული ქვეყნისა.

ვაცალოთ ამ სამაგალითო ახალგაზრდებსო, – რომ მოითხოვთ, სინამდვილეში რა უნდა ვაცალოთ? მაფიის განმტკიცება, არა? სახელმწიფო ხაზინის უმოწყალო გაჩანაგება და ზნეობის წახდენა? სამაგალითონი მართლაც არიან, მაგრამ არა წესიერ თანატოლთათვის, არამედ უზნეოთათვის.

ჯანსუღ ჩარკვიანისაგან აღარაფერი გვიკვირს, ისე ჩამოყალიბდა ყველაფერზე ხელისმომწერად.

მანანა გოგინეიშვილი თავის დროზე ჯაბა იოსელიანსა და „მხედრიონს“ დაუდგა ქომაგად. ყველას გვახსოვს მისი სიტყვები: ჯაბა ის ყაჩაღია, ქრისტეზე ადრე რომ შევიდა სასუფეველშიო. სახარების ცოდნა, გაგიხარია, კარგია, მაგრამ ქალბატონი მანანა ძალიან მალე მძიმე დღეში აღმოჩნდა და ბოდიშები იხადა, რომ მისდა უნებლიედ თურმე ბანდიტებს დასდგომია ქომაგად. თუ ის გულწრფელი სინანული იყო, იმავეს რატომ იმეორებს, ბანდიტების მფარველთ ახლაც რატომ ექომაგება? ალბათ, იმედი აქვს, რომ მერე – როცა საბოლოოდ გამოაშკარავდება ყველაფერი და სამაგალითო ახალგაზრდების დანაშაულებრივ საქმიანობას სახელმწიფოებრივი შეფასება მიეცემა – ისევ მოინანიებს.

ლანა ღოღობერიძის მამა, ავადსახსენებელი ლევან ღოღობერიძე უთუოდ ბედნიერი იქნებოდა, რომ გაეგო, მისი ქალიშვილი ისეთი ზნეობის ახალგაზრდებს ქომაგობს, თვითონ რომ ეყრდნობოდა 20-იან წლებში და უმოწყალოდ ანადგურებდა ღირსეულ პიროვნებებს. მაგრამ ალექსანდრე ჯავახიშვილისა გვიკვირს და გვეკვირვება, ივანე ჯავახიშვილი ხომ საფლავში გადატრიალდება, ეს რომ ესმას.

ჩვენ მოვერიდებოდით ამ დიდებული სახელის ხსენებას ასეთ კონტექსტში, მაგრამ შვილი არ უფრთხილდება მის სახელს და ჩვენც თავი ვეღარ გამოვიდეთ.

არც ელდარ შენგელაიას ულირს არაფრად ნიკოლოზ შენგელაიას სახელი. იგი ივანე ჯავახიშვილის მასშტაბისა არ ყოფილა, მაგრამ პატიოსანი კაცი იყო და ბანდიტების მფარველთ მხარში არ ამოუდგებოდა.

ხელმომწერთაგან სხვები სალაპარაკოდაც არ ღირან.

რაც შეეხება მუქარას, ერთს მოვახსენებთ. ვინც შეგიშინებიათ, ისინი შეაშინეთ, ბატონებო და ქალბატონებო!

**ვლადიმერ ნინუა**

*რედაქციისაგან: ავტორის ზოგიერთ მწარე შეფასებას ხსენებული ახალგაზრდებისადმი არ ვიზიარებთ...*

# ერთი შეუსვლელი ჭირის გამო...

*პირველი არხით თითქმის ყოველდღე გადაიცემა ე.წ. „აფხაზეთის ტელევიზიის“ პროგრამა. ერთი შეხედვით, რა უნდა იყოს ამაში ცუდი?*

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეგიდით, სამინისტროებს, უწყებებს და მთლიან სახელისუფლებო სტრუქტურებს რომ ვინარჩუნებთ, ამის საწინააღმდეგო არავის არაფერი აქვს: მჯერა, დღეს თუ ხვალ, აუცილებლად დავბრუნდებით და ზემოთ აღნიშნული სტრუქტურების მზადყოფნა იმ ბედნიერი დღისათვის, დიახაც საშური საქმეა. აღნიშნულის ფონზე „აფხაზეთის ტელევიზიის“ დევნილმა მუშაკებმა აკეთონ თავიანთი საქმე, საქართველოს ტელევიზიის სპეციალისტებთან სრულყონ თავიანთი პროფესიული დონე, სიტყვითა და საქმით ემსახურონ საკუთარ ხალხს, კი ბატონო, მაგრამ რატომ რუსულად?!

ეს გადაცემა რომ რუსულ ენაზე გადის ეთერში, არა მგონია მხოლოდ აფხაზეთის ტელევიზიის ხელმძღვანელების ან კიდევ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილი ხელისუფლების მიერ იყოს გადაწყვეტილი. აქ საქმე უფრო დიდი კომუნისტების ხელისუფლების დროს დაწყებულ, შენიღბულ ვერაგობასთან უნდა გვქონდეს. მაშ თუ არა, აგვიხსნას ვინმემ, თუ ვის და რა სარგებელს მოუტანს აფხაზეთის დევნილი ტელევიზიის თბილისიდან მთელი ქვეყნის (ღმერთმა გისმინოთ! – რა თქმა უნდა, მხედველობაში გვაქვს მისი ის ნაწილი, რომელიც ჯერაც არ დაგვეკარგავს) გასაგონად რუსულად ნათქვამი სიტყვა.

თავის დროზე საქართველოს კომუნისტურმა ხელისუფლებამ აფხაზეთში რუსული ენის სახელმწიფო სტატუსით დამკვიდრებას ვერაფერი დაუპირისპირა, პირიქით კი – მისი უმოქმედობით, ანტიეროვნული პოზიციით (სწორედ ასე აღიქმება დღეს ყბადაღებული „ინტერნაციონალური“) ხელსაც კი უწყობდა ამ საშინელი პროცესის წარმატებით განხორციელებას. გადავხედოთ აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებთა შორის რუსული ენის დამკვიდრების დინამიკას 1921 წლიდან და ვნახავთ, როგორ შავი ჭირის ეპიდემიასავით მოედო მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას რუსული ენა. ის იყო ყველგან და ყველაფერში პრივილეგირებული ენა. რუსული გახდა არა მარტო აფხაზი, რუსი, სომეხი, ბერძენი და სხვა ეროვნების წარმომადგენელთა ყოველდღიური სალაპარაკო ენა, არამედ ამ ენაზე მეტყველებდა აქ მაცხოვრებელ ქართველთა უმრავლესობაც. ქართველობა თანდათანობით თმობდა მშობლიურ ენას და ენასთან ერთად, რა დასამალია და ცნობიერებასაც. თითო-ოროლა ქართველი, აფხაზეთში მოღვაწე, თუ ამოიღებდა ხმას ამის საწინააღმდეგოდ, მათი მცდელობა ხელისუფლების მხრიდან შესაბამისი მხარდაჭერის არქონის გამო უშედეგოდ რჩებოდა. გვახსოვს როგორ თავმოწონებით აცხადებდა კომუნისტური ხელისუფლება ამა თუ იმ საანგარიშო თავყრილობებზე აფხაზეთში ამდენი და ამდენი საშუალო სკოლა გაიხსნაო, მათ შორის ამდენი რუსულიო, და ეს „მათ შორის რუსული“ რაც უფრო მეტ ხვედრით წილს იკავებდა სკოლების საერთო რაოდენობაში, მით უფრო კარგ მაჩვენებლად ითვლებოდა.

რუსულად მოაზროვნე, რუსულ გარემოში გაზრდილი ქართველი უფრო ადვილად ელეოდა ყოველივე ქართულს, უფრო ნიჭიერად ითვისებდა „კომუნისტ-ინტერნაციონალისტისათვის“ საჭირო თვისებებს. ყველას გვახსოვს მედროვე მშობლები როგორ ამართლებდნენ შვილის რუსულ სკოლაში შეყვანას: თბილისში ბავშვის უმაღლესში „მოწყობა“ 5-ჯერ (დიახ, ხუთჯერ და ზოგჯერ უფრო მეტჯერაც) უფრო ძვირია, ვიდრე რუსეთის ნებისმიერ ქალაქშიო. უარი თქვა ქართველთა უმრავლესობამ შვილის ცნობიერება „ აი ია“-დან დაეწყო, მიანდო ბავშვის სულის ჩამოყალიბება „Русское слово“-ს და შედეგიც სახეზე გვაქვს.

როგორ არ მინდა დავიჯერო, რომ კომუნისტური ხელისუფლება ხედავდა ყოველივე ამას და არაფერს უპირისპირებდა, არაფერს აკეთებდა თუნდაც იმისათვის, რომ ეს საშინელი „ფასთასხვაობა“ მინიმუმამდე დაეყვანა... მაგრამ, ვაი თუ ხედავდა და გეგმავდა კიდეც „ზემოდან“, „დიდი ძმისაგან“ მიღებული დირექტივებით საკუთარი ხალხის გადაგვარებას, „დიდ საბჭოეთში“ ღირსეული „ინტერნაციონალისტების უმანკო სახელით“ რომ გვეცხოვრა.

ვიცი, გამოჩნდებიან თანამედროვე „დემოკრატები“ და ყიჟინას ატეხავენ: რა გახდა თქვენი გადაჭარბებული ეროვნულობაო. არა, ბატონებო, მერწმუნეთ არაა გადაჭარბებული. თუ მაინც და მაინც აფხაზეთში მცხოვრებთა პატივისცემისათვის ან უბრალოდ, გასაგებად სჭირდება ვინმეს ეს გადაცემები, რაღა რუსულად, აფხაზურ ენაზე გადაეცით, დიახ, აფხაზურ და არამც და არამც რუსულ ენაზე, რადგან აფხაზი ხალხისადმი პატივისცემას რომ თავი დავანებოთ, ასე „უფრო დემოკრატიულიც“ იქნება, რასაც ასე „თვალის ჩინივით“ უფრთხილდება დღევანდელი ხელისუფლება.

დავძენთ, რომ კონსტიტუციაში გვიწერია: საქართველოში სახელმწიფო ენა ქართულია, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში პარალელურად აფხაზურიო. არ არის იქ ნახსენები, რუსული რამდენადაც ვიცი. პატივი ვცეთ საკუთარი ქვეყნის კონსტიტუციას, ვისწავლოთ მისით ცხოვრება.

ცალკე საუბრის თემაა საინფორმაციო გამოშვება „ვესტნიკი“. საქართველოს მოქალაქე რუსმა, სომეხმა თუ აზერბაიჯანელმა იმდენი მაინც უნდა იცოდეს ქვეყნის სახელმწიფო ენა, საინფორმაციო მასალა მაინც გაიგოს, თუ არა და მოგვიწევს სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზეც ვაწარმოოთ მაუწყებლობა, ისე კი ნამდვილად ცალკეული ერის დისკრედიტაცია გამოგვდის. სიფრთხილეს თავი არ სტკივა, თადარიგი მანამდე დავიჭიროთ, სანამ „გაგველახავდნენ“ და ბარემ ათ ენაზე ვაჟღურტულოთ ჩვენი ტელევიზია...

**მ.ღვინიაშვილი**

## ე.შევარდნაძის საზომებით მალე „გაფურჩქნულ“ სოციალიზმში შევალთ

საქართველოს პრეზიდენტმა ე.შევარდნაძემ გუშინდელი რადიოინტერვიუ გასული კვირის ეკონომიკური მოვლენების მიმოხილვით, კერძოდ, ფირმებთან „ტომპსონი“, „კოქემა“ და „მერი ლინჩ ინტერნეიშენალი“-ს წარმომადგენლებთან შეხვედრებზე საუბრით დაიწყო, რომლებსაც მნიშვნელოვანი უწოდა.

ე.შევარდნაძის თქმით, შეუქცევადი ხასიათისაა წარმოების ზრდის ტემპები. 40 დასახელების უმნიშვნელოვანესი სამომხმარებლო საქონლის მიხედვით ფასები 1,2%-ით შემცირდა, სტაბილურია ეროვნული ვალუტის კურსი – 1 $ – 1,28 ლარი.

ივლისში საგადასახადო ინსპექციის მიერ ბიუჯეტში მობილიზებულია 32 მლნ. ლარი, ხოლო საბაჟო დეპარტამენტის მიერ 19 400 ათასი ლარი. სახელმწიფო შემოსავლების მობილიზაციის დონემ მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში 6 თვეში 13,7 %-ს მიაღწია.

ქვეყნის ცენტრალური ბიუჯეტიდან საპენსიო უზრუნველყოფაზე 26 მლნ. ლარი გამოიყო, ლტოლვილთათვის დახმარების გაწევაზე – 28 მლნ. ლარი, ნაკლებად უზრუნველყოფილი ოჯახების დასახმარებლად – 5,5 მლნ. ლარი, ინვალიდებისათვის 5 მლნ. ლარი, კვების ხარჯებისათვის – 29 მლნ. ლარი.

პრეზიდენტის თქმით, ჩამორჩენაა ჯანდაცვის პროგრამის განხორციელების მხრივ, რისთვისაც ნაცვლად 20 მლნ. ლარისა 14 მლნ. ლარი გამოიყო, რაც წლის მეორე ნახევარში უნდა გამოსწორდეს და მაქსიმალური დახმარება უნდა გაეწიოს ამ სფეროს.

როგორც ე.შევარდნაძემ განაცხადა, ივლისში სამრეწველო საწარმოების მიერ წარმოებულია 13 მლნ. ლარის პროდუქცია. 7 თვეში წარმოებულია 84 მლნ. ლარის სამრეწველო პროდუქცია, რაც გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 17%-ით მეტია. მაღალი შედეგები აქვთ რუსთავის ქიმკომბინატს, ქუთაისის ლითოფონების ქარხანას და რუსთავის მეტალურგიულ კომბინატს.

რკინიგზის დეპარტამენტის მიერ გადაზიდული ტვირთების რაოდენობა 7 თვეში 4 მლნ. ტონამდე, ტვირთბრუნვა – 1,6-ით, გადაყვანილ მგზავრთა რაოდენობა 2,5 მლნ-მდე გაიზარდა.

ბუნებრივმა კლიმატურმა პირობებმა მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა საქართველოს სოფლის მეურნეობას. 31 ივლისისათვის წარმოებულია 41 ათასი ტონა მარცვალი. ივლისში მოკრეფილია 18 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი.

რუსეთის პრეზიდენტის ბ.ელცინის მიერ გასულ კვირას გაკეთებულ განცხადებასთან დაკავშირებით, ე.შევარდნაძემ განაცხადა, რომ განცხადებაში ჩამოყალიბებულია კონფლიქტის სამართლიანი მოგვარების კონცეფცია, რაც საქართველოსათვის სავსებით მისაღებია. მისი თქმით, თუ განცხადებაში ჩამოყალიბებულ პრინციპებს დაემატება დებულება ლტოლვილთა უსაფრთხო დაბრუნების შესახებ, ჩვენ მზად ვართ ხელი მოვაწეროთ დოკუმენტს, იმ შემთხვევაში, თუ იგი ამ კონცეფციას დაეყრდნობა. რაც შეეხება მოსკოვში არძინბასთან მის შესაძლო შეხვედრას, პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ყოველთვის მზად იყო კონსტრუქციული შეხვედრებისათვის.

რაც შეეხება რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს მალაღჩინოსანის განცხადებას, რომელშიც ნათქვამია, რომ აფხაზეთის წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციების გამოყენება რუსეთის ინტერესებში არ შედის, პრეზიდენტს მიაჩნია, რომ აღნიშნული სანქციების გამოყენება დსთ-ს მეთაურთა ერთ-ერთ სამიტზე გადაწყდა და სეპარატისტულ რეჟიმზე მშვიდობიან ზეწოლას ისახავდა მიზნად. მისი თქმით, რუსეთის მხრიდან ასეთი სახის განცხადება არასწორია. იგი დააკნინებს დსთ-ს ქვეყნების გადაწყვეტილებას და შესაძლოა სერიოზულად გაართულოს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები.

შეეხო რა ჩეჩნეთის ვიცე-პრემიერის ა.ზაკაევის ვიზიტს, პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებს პოზიტიური როლი შეუძლიათ შეასრულონ აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების საქმეში. ე.შევარდნაძემ აქვე აღნიშნა, რომ 3 აგვისტოს მან მიიღო ჩრდილოეთ ოსეთის პრეზიდენტის ახსარბეგ გალაზოვის წერილი, რომელშიც იგი საქართველოსა და ჩრდილოეთ ოსეთს შორის ეკონომიკური და სხვა კავშირების გაღრმავების სურვილს გამოთქვამს.

კოდორის ხეობასთან დაკავშირებით, ე.შევარდნაძემ განაცხადა, რომ პრეზიდენტის ბრძანებულებაში გათვალისწინებული იქნება სახსრების გამოყოფა კოდორის ხეობის მოსახლეობისათვის სურსათ-სანოვაგით, მედიკამენტებით, საწვავ-საპოხი მასალებით და სხვა საჭირო ნივთებით დახმარებისათვის, გადაუდებელ დახმარებას საჭიროებს კოდორის ხეობის სკოლები, საავადმყოფო და საავტომობილო გზა.

„ნეგატიურმა შავმა ნიაღვარმა, რომელიც ჩვენი საინფორმაციო საშუალებებით მოედინება, ლამის ყველა და ყველაფერი წალეკა“ – განაცხადა ე.შევარდნაძემ ბოლო დროს ქართული მასმედიის საშუალებებში გამოქვეყნებულ მასალებთან დაკავშირებით. მისი თქმით, არ შეიძლება სახელმწიფოს შავებად და ყვითლებად დაყოფა, არ შეიძლება ზოგიერთი პოლიტიკოსის მიერ საკუთარი ხალხის დებილად, ქვეყნის კი სიგარეტის, ბანანის და სიცრუის ქვეყნად მონათვლა. „რამის დაწერამდე დაფიქრებაა საჭირო“ – დასძინა მან.

## 50 გაზის ბალონი უშველის ცხინვალის რეგიონის გაჭირვებულ სოფლებს?

1991 წელს საქართველოში მომხდარი მიწისძვრის შემდეგ დღემდე მიწურებში ცხოვრობს ცხინვალის რეგიონის პატარა ლიახვის ხეობის სოფელი ზემო ჭარების მოსახლეობა, რომელიც 21 კომლისაგან შედგება. უმძიმეს მდგომარეობაშია სოფელ ქვემო ჭარების მოსახლეობაც, რომელთაც თვეზე მეტია არ მიეწოდება ელექტროენერგია და უგზოობის გამო კვირაში მხოლოდ ორჯერ ასრულებს რეისს სამგზავრო ავტობუსი.

პრობლემების ადგილზე შესწავლის მიზნით, გუშინ პატარა ლიახვის ხეობას ეწვია საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელთა დელეგაცია ანტიკორუფციული საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარის, ფრაქცია მოქალაქეთა კავშირის ლიდერის გიორგი ბარამიძის ხელმძღვანელობით.

ერედვის თემის დისევის საკრებულოს თავმჯდომარის მადონა ოქროპირიძის თქმით, მიწისძვრის შემდეგ მოსახლეობის ნაწილი სპეციალურ ვაგონებში შესახლეს, რომლებიც უკვე მწყობრიდანაა გამოსული და საცხოვრებლად უვარგისია. საქართველოს მშენებლობისა და ურბანიზაციის მინისტრი მერაბ ჩხენკელი მოსახლეობას ასაწყობი ხის სახლების მშენებლობას დაპირდა, რომელთა საცალო ღირებულება 3 ათას ლარს შეადგენს და ერთი სახლის აწყობა 10 დღეშია შესაძლებელი. მათ შესაძენად, მინისტრის აზრით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა გამოიყოს მიზნობრივი თანხები.

სათბობისა და ენერგეტიკის მინისტრი დავით ზუბიტაშვილი სოფელ ქვემო ჭარების მოსახლეობას თხევადი გაზის 50 ბალონს დაპირდა უსასყიდლოდ.

მადონა ოქროპირიძის თქმით, სოფელში გაიხსნა დაწყებითი სკოლა, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ სულ 8 ბავშვი სწავლობს, სახელმძღვანელოების ნაკლებობას განიცდის.

დელეგაციამ მდინარე პატარა ლიახვის ზემო წელში მდებარე ზონკარის წყალსაცავი დაათვალიერა. სათბობისა და ენერგეტიკის მინისტრის თქმით, წყალსაცავის შეკეთებისა და ექსპლოატაციაში გასაშვებად აუცილებელია უცხოური ინვესტიციები, რომელთა მოსაზიდად იგი თავად დაიწყებს მუშაობას, თუმცა, მისივე თქმით, უცხოელი ინვესტორების დასაინტერესებლად მინიმუმამდე უნდა შემცირდეს პოლიტიკური რისკი. (პრაიმ-ნიუსი)

## მწვანეთა ექსპედიცია სამეგრელოს მთიანეთში გაემგზავრა

3 აგვისტოს საქართველოს მწვანეების ბიომრავალფეროვნების დაცვის ჯგუფი გაემგზავრა მარტვილის რაიონში, სადაც დააფიქსირებენ სამეგრელოს მთიანეთის ბიომრავალფეროვნებას – აცნობა პრაიმ-ნიუსს საქართველოს მწვანეების აღმასრულებელმა მდივანმა რუსუდან სიმონიძემ.

მისი თქმით, ექსპედიციას ფინანსური დახმარება გაუწია შვეიცარიის მთავრობამ.

მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო, 10–15 წელია, რაც ამ რეგიონში არ ჩატარებულა კვლევითი სამუშაოები, რის გამოც საქართველოს ეკოტოპებმა მძიმე ანთროპოგენული ზეგავლენა განიცადა და საფრთხე შეუქმნა ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას.

საქართველოს „წითელ წიგნში“ შეტანილი იშვიათი და გადაშენების პირას მისული 161 სახეობიდან 32 სამეგრელოს ფლორის წარმომადგენელია, ხოლო კოლხური ტყეები ფლორისტიკულად ყველაზე მდიდარია არა მარტო საქართველოში, არამედ მთელი დსთ-ის ტერიტორიაზე. (პრაიმ-ნიუსი)

# პროფესორი ალასანია მოერევა პროფესორ სიუნის?

**ახლახან** დაისტამბა გალასანიას 35 გვერდიანი წიგნაკი – „ქართველები ბ-ნ რონალდ სიუნის თვალსაზრისით“. მალე ეს წიგნაკი ინგლისურ ენაზეც გამოიცემა. სიუნი ეროვნებით სომეხია, მოღვაწეობს ამერიკის შეერთებულ შტატებში. იგი ავტორია წიგნისა – „ქართველი ერის ჩამოყალიბება“ (ინგლისურ ენაზე), რომლის მეორე გამოცემა 1994 წ. განხორციელდა აშშ-ში. გ.ალასანია რატომღაც არ აღნიშნავს, თორემ სიუნის მოღვაწეობისათვის საქართველოში მას პირველად არ მიუქცევია ყურადღება. ჯერ კიდევ 1990 წ. 5 აგვისტოს გაზ. „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ გ.გაჩეჩილაძის წერილში – „ამერიკული დღიურიდან“ – ნათქვამია, რომ ნიუ-იორკის საერთაშორისო ურთიერთობის ცენტრში შემდგარი სამეცნიერო დისკუსიის დროს სიუნის განუცხადებია: თბილისი XIX საუკუნეში სომხური ქალაქი იყოო. სიუნის ამ განცხადების თაობაზე გაზ. „კომუნისტშივე“ (რაკი იმ დროს მხოლოდ ორიოდე ქართული გაზეთი გამოდიოდა!) 1990 წ. 2 სექტემბერს დაიბეჭდა ვრცელი წერილი – „არ ახალია, ძველია“, რომელშიც საუბარია იმაზე, რომ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი და მათი თანამებრძოლები ვერ შეურიგდებოდნენ ქართველთა სისხლით გაჟღენთილი საქართველოს ბევრი, მრავალტანჯული დედაქალაქის სომხურ ქალაქად გადაქცევას. ისინი დიდი შემართებით იბრძოდნენ, რათა თბილისს რუსეთის იმპერიის ბატონობის ვითარებაში (თბილისში თუ პარპაშებდნენ სომხეთა გარკვეული წრეები, ეს რუსეთის ხელისუფლების ნებით ხდებოდა, რუსეთმა სომხური ბურჟუაზიაც აქცია საქართველოს კოლონიზატორებად) შეენარჩუნებინა ქართული იერ-სახე.

მართალია, ქალბატონ გ.ალასანიას აქვს შენიშვნები სიუნის წიგნის მიმართ, მაგრამ საზოგადოდ იგი მაღალ შეფასებას აძლევს სიუნის ნაშრომს. გ.ალასანიას სიტყვით, სიუნის „ნაშრომი მნიშვნელოვანი მოვლენაა“, ავტორს „გავლილი აქვს კარგი სკოლა“, იგი ყოფილა „ბრწყინვალე ლექტორი“; „ბ-ნმა რ.სიუნიმ საქართველოს ისტორიის კიდევ ერთი ახლებური წაკითხვა შემოგვთავაზა“, მისი წიგნი „ბევრი რამით იზიდავს მკითხველს და ნიჭიერი პროფესიონალის დაწერილია“. გალასანია ლაპარაკობს სიუნის „უდავოდ საინტერესო ნაშრომის მეცნიერულ ღირებულებაზე“ და ა.შ. სიუნის რეაქციონერად მიაჩნია ილია ჭავჭავაძე (გ.ალასანია ამ ფაქტს რატომღაც არ ახსენებს) და მარტო ეს გარემოება (სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ) მეტყველებს, რომ სიუნი საქართველოს თემით დაინტერესებულა მხოლოდ იმის გამო, რათა გაეგრძელებინა წინამორბედ სომეხ მეცნიერთა ტრადიციები და მთელი მსოფლიოსთვის ეუწყებინა, საქართველო ისტორიულად სომხეთის ნაწილი იყო, საქართველოში თუ რამე გაკეთებულა, ეს სულ სომხების ღვაწლიაო, ქართველების ერად ჩამოყალიბებაც სომხების წყალობით მოხდაო. რაც შეეხება ილია ჭავჭავაძეს და მის თანამოსაგრეებს, მათ საქართველოს ისტორიის ჩარხის უკუღმა დაბრუნება მოინდომეს, დინების საწინააღმდეგო მიმართულებით მიცურავდნენო. რომელიმე სერგო სერგოს ძე მამულოვთან შედარებით სიუნის წიგნი თუ უფრო მაღალ დონეზეა დაწერილი, ეს ილიას გამლანძღველი სიუნის წიგნით აღფრთოვანების უფლებას კი არ გვაძლევს ქართველებს, არამედ იმის დასტურია, რომ სიუნი საქართველოს ისტორიის მაღალი დონის ფალსიფიკატორია, გამყალბებელია.

გალასანიას წიგნაკის ნახევარზე მეტი ეთმობა ქართველ-სომეხთა, საქართველო-სომხეთის ურთიერთობის საკითხების განხილვას. გ.ალასანია არ არის ამ დარგის სპეციალისტი და ამიტომაც ვერ გაართვა თავი მის წინაშე წამოჭრილ სირთულეებს, დამაჯერებელი პასუხი ვერ გასცა სიუნის შენიღბულ თუ აშკარა გამოხდომებს. საქართველოში, სამწუხაროდ, საჭირო, სასურველი მოცულობით ვერ მიმდინარეობს კვლევა-ძიება საქართველო-სომხეთის ურთიერთობების პრობლემების შესასწავლად, ბევრი რამ სპეციალისტებისთვისაც ბუნდოვანია და, მით უმეტეს, არასპეციალისტი ვერ შეძლებს აშშ-ში გაწაფული ფალსიფიკატორის ოინბაზობის მხილებას, მეცნიერების საფარს ამოფარებული მისი თაღლითობის საფუძვლიანად გამოაშკარავებას.

გალასანიას წიგნაკი გამოცემულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ.ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მიერ, მისი გრიფით. ამჟამინდელი ქართული საისტორიო მეცნიერების თავკაცებს უნდა შეეძლოთ იმის განსაზღვრა, თუ ვის უნდა დაავალონ და ვის უნდა გამოუცენ სიუნის წიგნის შემფასებელი ნაშრომი. მაგრამ საქმე ისაა, რომ საუბედუროდ ქართულ საისტორიო მეცნიერებაში განუკითხაობა სუფევს. ამის ერთ-ერთი დასტურია გალასანიას წიგნაკის გამოცემაც. ჩვენი ბრალდება ცარიელ სიტყვებად რომ არ დარჩეს, უნდა განვიხილოთ ზოგიერთი ის საკითხი, რომლის თაობაზეც გალასანია არადამაჯერებლად, ზერელედ ეკამათება სიუნის.

გალასანიას თანახმად, სიუნის წიგნში ფარნავაზიანთა დინასტია წყდება ამაზასპ II-ის მეფობაზე, არშაკიდების დინასტია – 284 წელს... უკრიტიკოდ არის გაზიარებული „ქართლის ცხოვრებიდან“ მომდინარე ცნობა ქართლის მე-4 მეფის ფარნაჯომის ხანიდან ახ.წ. I საუკუნის ჩათვლით სომხების ჰეგემონიის შესახებ“. გ.ალასანიას უნდა მოეხსენებინა სიუნისათვის, რომ ქართლის (იბერიის) სამეფოში სომეხი არშაკიდების მეფობა არ დასტურდება. V ს-ის სომეხი მემატიანე ფავსტოს ბუზანდი აღნიშნავს, რომ IV ს-შიც ქართლში ფარნავაზიანები მეფობდნენ. აქვე ჩნდება კითხვა: ქართველთა წმინდა, პატიოსან წიგნში, „ქართლის ცხოვრებაში“, რომელმაც ისეთივე დიდი როლი შეასრულა საქართველოს ისტორიაში, როგორც „სახარებამ“ და „ვეფხისტყაოსანმა“, რატომ არის საუბარი სომხეთა ჰეგემონიის შესახებ? საქმე ისაა, რომ „ქართლის ცხოვრების“ დასაწყისი ნაწილი, ე.წ. „ლეონტი მროველის „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“ არმენოფილური ხასიათისაა და ტყუილად ჰგონიათ ზოგ-ზოგებს, რომ საქართველოსთან შედარებით სომხეთის პოლიტიკური უპირატესობა ქართულივე მატიანით მტკიცდება. იყო ზოგჯერ სომხეთის პოლიტიკური უპირატესობაც, მაგ., ძვ.წ II ს-ის გარკვეულ მონაკვეთში, ასევე ტიგრან II დიდის მეფობის წლებშიც (ტიგრანის ძლევამოსილება გრძელდებოდა დაახლ. 20 წელიწადს), მაგრამ იმ უძველეს ეპოქებშიც ქართლის სამეფოს პოლიტიკური უპირატესობაც დასტურდება ზოგჯერ სომხეთის მიმართ, მაგ., ძვ.წ. III ს-ში მეფე ფარნავაზისა და მისი მემკვიდრეების დროს, ხოლო ახ. წ. I ს-ში ქართლის მეფე ფარსმან I, ასევე მისი ძმა და ვაჟიც მთელი სომხეთის დაუფლებას ცდილობდნენ და მნიშვნელოვან წარმატებებსაც მიაღწიეს. სომხეთის მეფეების გაძლიერების ჟამსაც, როცა მათ მოახერხეს ზოგიერთი ქართული მხარის დაპყრობა (ამას გვაუწყებს სტრაბონი, რომლის ცნობა უნდა ეხსენებინა გ.ალასანიასაც არტაანის კუთვნილებაზე სიუნისთან კამათისას), იგივე არმენოფილ ლეონტი მროველის თანახმად, ქართველთა მეფეები განუწყვეტლივ იბრძოდნენ დაკარგული მიწების დასაბრუნებლად და წარმატებითაც. ქართველები არც ტიგრან II დიდის მძლავრობას შერიგებიან. ძვ.წ. 66 წ., როდესაც ტიგრანი უბრძოლველად დანებდა რომაელთა სარდალ პომპეუსს, უცხოური მასალების მიხედვით, ქართველთა მეფე არტაგს დაუკავებია ქვემო ქართლი თუ მისი ერთი ნაწილი, რომელიც ტიგრანმა დაიქვემდებარა.

ამრიგად, ლეონტი მროველის არმენოფილობა არ გამოდგება იმის სამტკიცებლად, თითქოს, უძველეს ხანაში საქართველო სომხეთის ნაწილს წარმოადგენდა და ამის გამო ქართველებიც თავს სომხების ვასალებად მიიჩნევდნენ. ლეონტის არმენოფილობის სხვა მიზეზებია საძიებელი. ამის თაობაზე არსებობს დიდძალი სამეცნიერო ლიტერატურა, რაც უნდა გვეთქვა სიუნისათვის. საფიქრებელია, ლეონტის არმენოფილობა ძირითადად გამოწვეულია შემდეგი გარემოებით: XI ს-ში დაეცა სომხური სახელმწიფოებრიობა. სომეხთა ემიგრაციამ ფართო მასშტაბი მიიღო. სომხეთი იცლებოდა სომხებისგან. მათ ადგილს თანდათან იკავებდნენ ჯერ ბიზანტიელები (რომლებიც საქართველოს დაპყრობასაც ცდილობდნენ), ხოლო XI ს-ის შუა ხანებიდან თურქ-სელჩუკები, საზოგადოდ, სხვადასხვა ჯურის მაჰმადიანებიც. ეს საქართველოს სასიკვდილო საფრთხეს უქმნიდა. საქართველოს ხელისუფლება ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ სომხეთში დამკვიდრებინა სომხური მოსახლეობა. სომხეთი რომ არ ქცეულიყო დამპყრობთა სათარეშოდ, აუცილებელი ხდებოდა მისი შემოერთება საქართველოსთან, რაც XI ს-ში თითქმის შეუძლებელი იყო. მაგრამ საქართველოს ხელისუფლებამ მაინც სცადა სათანადო ნიადაგის მომზადება. ამას ხელს უშლიდა ქართველ-სომეხთა შორის არსებული საუკუნოვანი დაპირისპირება, რომელიც ხშირად ძალზე მწვავე ხასიათისა იყო. დაპირისპირებას იწვევდა ის, რომ როგორც უკვე ითქვა, სომეხთა მეფეებმა ძვ.წ. II-I სს-ში არაერთი ქართული მხარე დაიპყრეს და ბრძოლა ამ მიწებისთვის XII საუკუნემდე გაგრძელდა. დაპირისპირება გამოლინდა ქართულ-სომხური ეკლესიების ურთიერთობაშიც, რომელთა შორის VII ს-ის დამდეგს მოხდა ისეთი საშინელი განხეთქილება, რომ სომეხთა კათოლიკოსმა მოუწოდა თავის მრევლს, შეწყვიტეთო ქართველებთან ყოველგვარი ურთიერთობა, მხოლოდ ვაჭრობის უფლება გქონდეთო მათთან, ისევე, როგორც ურიებთან. ქართული ეკლესიის თავკაცებიც ასეთსავე დამოკიდებულებას ქადაგებდნენ სომხური ეკლესიისა და მისი მრევლის მიმართ. ასე მაგ., ჰოროგრაფი მთაწმინდელის ბიოგრაფია სომხურიდან ქართულად წიგნის თარგმნას დიდ ცოდვად აცხადებდა. ქართულ-სომხურ ეკლესიებს შორის მტრობა თანდათან ღრმავდებოდა, რაც ფესვს იკიდებდა მათ მრევლშიც, ე.ი. ქართველ და სომეხ ხალხებს შორის. ასეთ ვითარებაში საქართველოსთან სომხეთის მტკიცედ შემოერთება შეუძლებელი იყო და ამიტომ საქართველოს სამეფო კარი ყოველი ღონით ცდილობდა ქართველ-სომეხთა დაპირისპირების, მტრობის აღმოფხვრას ან განელებას მაინც. ამ გეგმის შემადგენელი ნაწილი ჩანს ლეონტი მროველის მიერ არმენოფილური მატიანის დაწერაც.

გალასანია აღნიშნავს, რომ სიუნის წიგნის ერთ-ერთი ძირითადი თეზისი პირველსავე გვერდზეა ჩამოყალიბებული. სიუნის სიტყვით, „ის ტერიტორია, სადაც ქართულენოვანი მოსახლეობა ცხოვრობდა, ისტორიის უმეტესი დრო გაყოფილი იყო ორ ძირითად ნაწილად“. საქართველო პირველად XI ს-ში გაერთიანდა და ისიც მცირე ხნით. უნდა გვეთქვა სიუნისათვის, რომ დამპყრობლები უძველესი დროიდან ებღაუჭებოდნენ საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს და დასავლეთ თუ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დიდ ნაწილში ფეხის მტკიცედ მოკიდებას ცდილობდნენ. ეს გარემოება დიდად აფერხებდა საქართველოს გაერთიანებას. მიუხედავად ამისა, საქართველოში ყოველთვის იყო ქვეყნის გაერთიანების მომხრე ძალები, რომლებიც განუწყვეტლივ ამზადებდნენ სათანადო ნიადაგს და ხელსაყრელი

გაგრძელება მე-6 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნადიბაიძე–შალიკაშვილის გადასარევი დუეტის შესახებ

გუშინ, საღამოს საქართველოს პრეზიდენტის ე.შევარდნაძის მოწვევით, თბილისში ჩამოვიდა აშშ-ს შტაბების უფროსების კომიტეტის თავ-რე გენერალი ჯონ შალიკაშვილი. ვიზიტის დროს ჯ.შალიკაშვილი შეხვდება საქართველოს პრეზიდენტს ე.შევარდნაძეს, პარლამენტის თავ-რეს ზ.ჟვანიას, თავდაცვის მინისტრს ვ.ნადიბაიძეს.

სტუმარი მოინახულებს გაერთიანებულ სამხედრო აკადემიას და წყნეთის ბავშვთა სახლს. გურჯაანში ეწვევა საგვარეულო მამულს, სადაც გაეცნობა სამხედრო ისტორიის მუზეუმის მოწყობის გეგმას. დაგეგმილია კახეთის ღირსშესანიშნაობათა დათვალიერება.

გენერალ ჯონ შალიკაშვილის საქართველოში ვიზიტი არანაირად არ არის დაკავშირებული ქართული მხრიდან მისთვის ქართულ არმიაში საპასუხისმგებლო პოსტის შეთავაზებასთან – განაცხადა „იფრინდას“ კორესპონდენტთან საუბარში საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილემ გენერალ-ლეიტენანტმა გურამ ნიკოლაიშვილმა. მისი თქმით, ეს იქნება სამუშაო ვიზიტი, საქართველოს პრეზიდენტისა და აშშ-ს თავდაცვის მინისტრის მიერ ხელმოწერილი თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებისა და ნატოს პროგრამის „პარტნიორობა მშვიდობისთვის“ ჩარჩოებში. აღნიშნულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით მხარეებს შორის მოხდება აზრთა გაზიარება, რაც შემდგომში გათვალისწინებული იქნება სამომავლო თანამშრომლობის გეგმებში. გ.ნიკოლაიშვილის განცხადებითვე, გენერალ შალიკაშვილს განზრახული აქვს გურჯაანში მისი წინაპრების კუთვნილი სახლის გადაცემა საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის, შემდგომში სამხედრო ისტორიის მუზეუმის გახსნის მიზნით. (იფრინდა)

## კვირის ბოლოსათვის მოხერხდება

„სიკვდილმისჯილთა შეწყალების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების გამოსვლისთანავე, მიმდინარე კვირის ბოლოსათვის მოხერხდება ყველა მსჯავრდებულის გადაყვანა სასჯელის მოხდის ადგილზე“ – ნათქვამია პროკურატურის პრეს-ცენტრის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

მსჯავრდადებულები განთავსდებიან სათანადო რეჟიმის პირობების მქონე ქ.თბილისის №1 საგამოძიებო იზოლატორის მიმდებარე კორპუსში, სადაც გატარებული ორგანიზაციულ-ტექნიკური მუშაობის შედეგად, დაცული იქნება ყველა მსჯავრდებულის კანონით განსაზღვრული რეჟიმის პირობები, აგრეთვე მათი სხვა უფლებები. (იფრინდა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მსოფლიოს გადანაწილება მოქმედებაში

# გვართმევენ ჭალარა კასპიის ზღვას

## შეერთებული შტატების ექსპანსია იზრდება

### შევარდნაძის აშშ-ში ვიზიტთან დაკავშირებით „პრავდამ" ატირებული პოლიტოლოგის წერილი გამოაქვეყნა

„მშვიდობით, ფლეშმენ! ამერიკული პოლიტიკა კავკასიაში და შუა აზიაში" – ამგვარად არის დასათაურებული ახლახანს გამოქვეყნებული ვაშინგტონის გარეპოლიტიკური უწყების პროგრამული განცხადება. ვინ არის ფლეშმენი? გასული საუკუნის ცნობილი ბრიტანელი ავანტიურისტი, რომელიც ცდილობდა ავღანეთის პლაცდარმიდან რუსეთის იმპერიისათვის შუა აზიის ჩამოცილებას. რატომ არის დღეს გადაწყვეტილი ხანებისა და ემირების ერთმანეთზე მისევის ფლეშმენისეული ტაქტიკის დავიწყება? იმიტომ, რომ უმაღლესი არბიტრის როლისაკენ დსთ-ს მთელს სამხრეთ რეგიონში, მიზანდასახულად მოისწრაფის გაცილებით ძლიერი და ღიად მოქმედი ოკეანის გაღმელი პრეტენდენტი.

ჭალარა კასპიის ირგვლივ თავისი სტრატეგიული გზების გაკვალვას იგი კულისებს მიღმა ინტრიგების გარდა, რაც მთავარია ათასობით საბურღი დანადგარის მონტაჟით დაიწყებს. ყოფილი საბჭოთა კავშირის საგაზ-ნავთობო საგანძურის უპირობოდ ჩათრევა ხდება ამერიკის დიდი ბიზნესის ორბიტაში. და თუკი საქმიანმა ფლეშმენმა, ისევე როგორც მისმა თანამოსაქმეებმა, წააგეს შერკინება ცენტრალური აზიისა და კავკასიისათვის „სლავურ დათვთან" როგორც მეფის, ასევე რევოლუციის შემდეგაც, ამერიკის შეერთებული შტატები წაგებას არ აპირებს.

თვით ის ფაქტი, რომ ზემოხსენებული განცხადებით გამოვიდა არა ვინმე, არამედ სახელმწიფო მდივნის მოადგილე ექს-საბჭოთა კავშირის პრობლემებში სტროუბ ტელბოტი, ბევრ რამეს ლაპარაკობს. ოქსფორდის უნივერსიტეტიდან ბილ კლინტონის თანაჯგუფელი, იგი წლების მანძილზე თავის თავს უფრო შემრიგებლური და კონსტრუქციული ნაბიჯების უფლებას აძლევდა მოსკოვის მიმართ, ვიდრე ადმინისტრაცია მთლიანობაში. რუსეთის, მისი ისტორიისა და კულტურის საკმაოდ ღრმად მცოდნე „მტრედი" ტელბოტი ტრადიციულად არჩევდა ძლიერ არ გაენეწყენებინა გუშინდელი ზესახელმწიფო, ამის გარეშეც დაზარალებული ევროპაში და აზიაში, ახლო და შორეულ აღმოსავლეთში, აფრიკაში და ლათინურ ამერიკაში თითქმის ყველა თავისი ყოფილი გეოსტრატეგიული პოზიციების დემონტაჟით. თეთრი სახლის პატრონთან მეგობრობა საიმედოდ იცავდა გარეპოლიტიკური უწყების მეთაურის მოადგილეს კრიტიკისაგან ულტრარეაქციონერთა მხრიდან ვაშინგტონის ისტებლიშმენტში.

ასეთ ფონზე, დამეთანხმებით, ტკივილამდე სიმპტომატურად გამოიყურება, რომ ზუსტად ტელბოტი, თითქოსდა ჩაიქნია ხელი თავისივე მრავალწლოვან სირბილეზე მოსკოვის საქმეებში, შეშფოთდა რუსეთის ყურით მოთრეული ანექსიური გეგმებით ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების მიმართ და სათავეში ჩაუდგა ახლანდელ ლაშქრობას კასპიის რეგიონში. უფრო ზუსტად კასპიის იმ უმეტეს ნაწილში, რომელიც, თითქოს და სულ უფრო შორიშორ დრეიფობს რუსეთისგან. ტელბოტის განცხადება ნიშნავს, რომ მერყევი ვაშინგტონის ბალანსირი, კრემლის ინტერესების აღნუსხვასთან მიმართებაში ასტრახანიდან სამხრეთით, უიმედოდ დაიძრა რეგიონალური ბარომეტრის ჩვენთვის საპირისპირო კუთხისაკენ. ამერიკელებმა როგორც ჩანს გადაწყვიტეს ჩვენთან ცერემონიებს თავი დაანებონ არა მარტო აღმოსავლეთ ევროპაში, ანდა ვთქვათ ბალტიაში, არამედ იმიერკავკასიაშიც (რუსეთისთვის) ისევე როგორც იმიერკასპიეთში. მტკიცებულებანი? ისინი მრავლად გახლავთ. მაგრამ მთავარი ფრიად სამწუხარო ფაქტზე დაიყვანება: ნავთობის კორპორაციების ზეწოლის ქვეშ თეთრი სახლი უკვე აღარ იზღუდება მათი მხოლოდ ინვესტიციების საზოგადოდ მხარდაჭერით. ჩვენს თვალწინ ფორმირდება პოლიტიკური პრესინგის ექსპანსიური კურსი, რომლის მიზანიც – ერთბაშად რამოდენიმე რეგიონის ისტორიული ბედის შეცვლა გახლავთ. არც მეტი არც ნაკლები.

ამ „ყველგანმწვდომი" პოლიტიკის ახალი რაუნდი აღინიშნა ვაშინგტონში დსთ-ს ერთ-ერთი ახალგაზრდა დამოუკიდებელი სახელმწიფოს ლიდერის ვიზიტით. თუ შემთხვევით მკითხველი იფიქრებს, რომ მოცემულ სახელმწიფოს გააჩნია ნავთობმომპოვებელი მრეწველობის რამდენადმე ძლიერი პოტენციალი – იგი შეცდება. ისევე როგორც ის, ვინც წარმოიდგენს, რომ ეს ქვეყანა კასპიის ზღვაზე გადის. არც ერთი და არც მეორე, სამაგიეროდ, მის პრეზიდენტს, რომელსაც ქლინთონთან საათზე მეტი ხნის განმავლობაში ჰქონდა საუბარი, ამერიკელები ტრადიციულად მეტად ენდობიან, ვიდრე ნებისმიერ სხვა ხელმძღვანელს იმიერკავკასიიდან (რუსეთისთვის) ან ცენტრალური აზიიდან. დიახ, დიახ, ლაპარაკი ეხება ღრმადაზროვან ახლებურად მოაზროვნეს, დიდი დამსახურებით დასავლეთის წინაშე – ედუარდ შევარდნაძეს.

შეიძლება შემეკითხოთ: რატომ აბამენ რუსული გაზეთები ზემოთაღნიშნულ ვიზიტს ისევ და ისევ კასპიის ზღვას; ხელოვნური ხომ არ გახლავთ ეს „ხიდი"? არა, არ გახლავთ ხელოვნური და სხვათა შორის ამ გადაბმაზე ჩვენ არ გახლავართ პასუხისმგებლები. იგი თვით ამერიკელებმა განახორციელეს. „ქართულ სიუჟეტთან" დაკავშირებით აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ნიკოლას ბერნსმა განაცხადა, რომ „კასპიის რესურსები, სპარსეთის ყურის საბადოების შემდეგ წარმოადგენენ, ყველაზე მდიდარს", ეს ფაქტი ხდის მათ „ძალიან მნიშვნელოვანს" აშშ-ს და ევროპისათვის. აქედანვე გამომდინარეობს თბილისთან დიალოგის ახალი ფაზის მნიშვნელობა ჩემგან დავამატებ ფრჩხილებში, რომ ჰეიდარ ალიევი, რომლის სამშობლოც გაცილებით მაღალ ხარისხში წარმოადგენს ნავთობის ბიზნესის პირველმიზეზის სიმბოლოს ვიზიტად პოატემაკს გაემგზავრება მოგვიანებით, როდესაც საბოლოოდ გარკვეული იქნება აშშ-ის რეგიონალური სტრატეგიის ახლანდელი ეტაპის ზესახელმწიფოებრივი ტონალობა.

მისი საერთო მდგომარეობა საიდუმლოებას არ წარმოადგენს. აღიარებს რა ყოველ შემთხვევაში ჭირჭირობით, რომ კასპიის რეგიონზე კონსორციუმების მიერ მოპოვებული ნავთობის ნაწილი მაინც რუსეთის გავლით უნდა იქნეს ექსპორტირებული, ვაშინგტონი ამავე დროს დაჟინებით ამუშავებს პარალელურ ქართულ-თურქულ მარშრუტს. ამასთან პირველ ვარიანტში, თურქეთი გამოდის ბოსფორის ეკოლოგიის დაცვის საბაბით – ობიექტური წინააღმდეგობის როლში დსთ-დან ევროპაში სათბობ-ენერგეტიკული მიწოდების შემდგომი ტრანსფერის გზაზე, მეორე ვარიანტში – ამ მიწოდებების გულმხურვალე მომხრე (!) თბილისისათვის კი ოკეანესგაღმა პრიანიკთან ერთად პოტენციალური შოლტიც მოამზადეს. მაგალითისათვის, თუკი საქართველო და მისი მეზობლები უეცრად მოინდომებენ მომავალი ტრანზიტული მიწოდებების მხოლოდ დასავლეთის მიმართულებით ორიენტირებას, შევარდნაძის ამერიკული მხარდაჭერა შესუსტდება. რა არის საჭირო ეს რომ არ მოხდეს? – იკითხავთ თქვენ. გორბაჩოვის საგარეო პოლიტიკური კურსის ექს-გამტარებელმა პირობა უნდა დადოს, რომ სათბობის მნიშვნელოვანი ნაწილი გადაიტვირთება შავი ზღვის მშენებარე ტერმინალებიდან უკრაინაში. იბადება კითხვა: იმისთვის ხომ არ კეთდება ეს ყოველივე, რომ სათბობის ალტერნატიული იმპორტით აღფრთოვანებულმა კიევმა გააძლიეროს სევასტოპოლის პრობლემასთან და მთელ რიგ სხვა საკითხებთან თავისი მიდგომის ანტირუსული სიმწვავე? აქამდე უკრაინის დამოუკიდებელი დრეიფი ნატოს მკლავებისაკენ შესაძლებელი იყო ოდნავ მაინც შეკავებულიყო. ასე რომ, ქლინთონის ადმინისტრაციამ თბილისის ხელმძღვანელობასთან ერთად გადაწყვიტა ჩამოართვას კრემლს საბოლოო ენერგეტიკული კოზირი.

...რას იზამ, დღეს საქართველო მზადაა შეპირდეს ამერიკელებს, რომ [illegible] დათ, თუნდაც ხვანჭკარის [illegible] პანში, ხაჭაპურის – მექსიკაში, „შავი ოქროსი" – სადმე [illegible] არადა. მაგრამ პარალელურად ხომ კიდევ ერთი სცენარი ვითარდება. ისევ რუსეთის წინააღმდეგ დამიზნებული. გაინალდა რა ქლინთონის სრული მხარდაჭერა ზემოთაღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, შევარდნაძე გაემგზავრა გაეროს ნიუ-იორკის შტაბ-ბინაში იმ მიზნით, რომ აეხსნა საერთაშორისო თანამეგობრობისთვის – თბილისი მზად არის განახორციელოს ყველაზე ფართო რეგიონალური პროექტები, მაგრამ, მოსკოვის უძლურება – მოაგვაროს აფხაზური პრობლემა, ამას ხელს უშლის. და რახან ასე გახლავთ, მოდით, გაერომ კორექტირება გაუკეთოს რუსეთის სამშვიდობო ძალების მანდატს. უკეთებს რა ციტირებას კპცკ-ს პოლიტბიუროს ყოფილი წევრის გამონათქვამებს, ლონდონის „ფაინეიშნლ თაიმსი" გამოყოფს მაგალითად ასეთ ფრაზას: „რუსეთს საკუთარი პრობლემებიც ყოფნის, რომელთა შორისაც ჩეჩნეთი გახლავთ; ასე რომ, იგი (რუსეთი) თავისთვის შეუძლებლად ჩათვლის მოცემულ (აფხაზური) პრობლემის დარეგულირებას ცალმხრივად".

აი, თქვენ რამოდენიმე ილუსტრაცია საკითხისათვის, თუ რა ჩვენთვის სატირელი ძვრები მოხდა კასპიის მისადგომებთან. ძვრები, რომელნიც საქმის ცოდნით დაალაგეს მრავალხმოვანებაზე ოკეანესგაღმური პარტიტურის ავტორებმა. მათ ძალიან კარგად იციან: ერთი ან ორი წლით პოლიტიკური მდგომარეობა და ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური ტენდენციები ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში შეუცვლელად რომ დარჩეს, ესე იგი, შენარჩუნებულ რომ იქნეს ხელისუფლების შტურვალი დღევანდელი ელიტის ხელში. – საყოველთაო სახალხო უკმაყოფილების აფეთქება და რუსეთთან მყარი კავშირის აღდგენის მოთხოვნა დაუძლეველი გახდება (ვაი თქვენს პატრონს!!! – ხაზი რედაქციისაა). ამერიკას, მიუხედავად მთელი თავისი სიძლიერისა, სასტიკად ეშინია ასეთი შედეგის. მაგრამ საკუთარი სიმდიდრიდან დამატებითი მილიარდების გაღება თავის საზღვრებიდან მრავალათასი მილით დაშორებულ რეგიონში კრიზისის შესარბილებლად მას არ სურს. აქედან არის ზუსტად ფორმულირებული ვაშინგტონის მიერ მესამე ალტერნატივა: თავიდან აიცილოს თავისივე პოსტსაბჭოთა პოლიტიკის კრახი... კასპიის ნავთობის დახმარებით!

**პაველ ბოგომოლოვი**
გაზ. „პრავდა 5"

---

● წიგნიდან „სუკი და ძალაუფლება"

# გამოძიებამ აჩვენა

## ფილიპ ბობკოვი

იმის თხრობა, თუ როგორ ჩნდებოდნენ პოლიტიკური კონფლიქტები, დამჭირდა მათი პოლიტიკური ანალიზისათვის და სულაც არ მქონია მიზნად იმ მეთოდების ჩვენება, რომელთა მეშვეობითაც სუკ-ი ჭრიდა ამ საკითხებს. აი, ტიპიური მაგალითი იმისა, თუ რა ძალისხმევა, რა პროფესიონალიზმი იყო საჭირო ასეთ პირობებში.

1981 წელს ყირგიზეთის მინისტრთა საბჭოს აგარაკზე ჩოლპონ-ატაში, ერთ-ერთ ქუჩაზე მოკლეს ერთი ყირგიზი და ცეცხლი გაუხსნეს მილიციის რაზმს. რამდენიმე საათის შემდეგ, ღამით, საკუთარ საწოლ ოთახში სიცოცხლეს გამოასალმეს ყირგიზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და მისი მძღოლი.

გამოძიებას სუკ-ი აწარმოებდა, აგრეთვე სსრკ პროკურატურა და ადგილობრივი სამართალდამცავი ორგანოები. მიცვალებულის ქვრივის დაკითხვამ მცირე მასალა მოგვცა: მისი ქმარი იმყოფებოდა მეორე სართულზე, ხოლო თვითონ გვერდითა ოთახში ეძინა; ბოროტმოქმედი ბინაში ფანჯრიდან გადაძვრა და, როგორც ჩანს, პირველ სართულზე მყოფმა მძღოლმა იგი დაინახა. დამნაშავემ ესროლა მძღოლს, დაუბრკოლებლად შეაღწია მორიგი მსხვერპლის ოთახში და აუღელვებლად დაახალა ტყვია. ცოლმა სროლის ხმა გაიგონა და საწოლ ოთახში შეირბინა. იქ კი მეუღლის გვამი დაინახა. ბოროტმოქმედი კი ამ დროს მშვიდად ჩამოვიდა ქვემოთ, გადაძვრა ფანჯრიდან და მიიმალა. ქალმა დაუყოვნებლივ დარეკა მილიციაში, მაგრამ მათი მოსვლისათვის დამნაშავის კვალი უკვე გამქრალიყო. ეს იყო, რაც ჩვენ ვიცოდით.

დაიწყო გამოძიება. ჩატარდა ექსპერტიზა. აღმოჩნდა, რომ მკვლელობა მოხდა „ბელკას" ტიპის მცირეკალიბრიანი კარაბინით, რომელსაც იჟევსკის ქარხანა უშვებდა და დიდი სიძლიერით გამოირჩეოდა.

იარაღის მფლობელის ძებნა იმ ნიშნების მიხედვით წარმოებდა, რომლებიც მოკლულის ქვრივმა მოგვაწოდა. სამძებრო სამუშაოები სხვა მიმართულებითაც ხორციელდებოდა. მიმდინარეობდა ექსპერტიზათა უსასრულო სერია, რომელთა შედეგებსაც შევძლოთ დამნაშავის კვალზე გავეყვანეთ. ხელახლა დავათვალიერეთ ნივთები, ვეძებდით თითების ანაბეჭდს... თვეზე მეტი გავიდა – არავითარი შედეგი. არც საკავშირო ძებნამ გვიშველა. სამწუხაროდ, მკვლელის შესახებ ძალზე ცოტა რამ ვიცოდით. თუმცა, კუიბიშევის ოლქში მომხდარმა ერთმა შემთხვევამ კი დაგვაინტერესა. ქალაქ ჩაპაევსკში ჩიხში მდგარი მატარებლის ვაგონში ადამიანის გვამი იქნა აღმოჩენილი. მას თავი მოუკლავს. მიცვალებულს თან ჰქონდა წიგნაკი წარწერით: „ყირგიზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის სამახსოვრო", სადაც დეპუტატების მონაცემები იყო დაბეჭდილი.

გადავწყვიტეთ, ეს ვერსიაც დაგვემუშავებინა. გამოვიკვლიეთ გვამი, ჩავატარეთ ამოცნობა. ჩოლპონ-ატას მცხოვრებლებმა ამოიცნეს თანამემამულე, ვინმე სმაგინი. მართალია, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ქვრივმა არ დაადასტურა მიცვალებულის მსგავსება ბოროტმოქმედთან, ჩვენ მაინც მივყევით ამ კვალს. გამოვიკვლიეთ ამ ადამიანის მთელი გზა ჩოლპონ-ატადან ჩაპაევსკამდე.

აღვადგინეთ მისი ჩოლპონ-ატადან გამგზავრების სურათი. იგი ჯერ ავტობუსით გაემგზავრა ფრუნზემდე. შემდეგ შევძელით იმ ადამიანების მოძებნა, რომლებიც მასთან ერთად მგზავრობდნენ მატარებელში მოსკოვამდე. გავარკვიეთ, როგორ იქცეოდა გზაში და მოსკოვში. ჩვენ ვიპოვეთ მოწმეები, რომლებმაც იგი ბილეთის ყიდვის დროს დაინახეს. მოლარემაც ამოიცნო. გაირკვა, რომელი მატარებლით გაემგზავრა მოსკოვიდან კუიბიშევს და შემდეგ კი ჩაპაევსკისაკენ.

ჩვენ დავინტერესდით მისი ცხოვრებით. აღმოვაჩინეთ ფოტო, სადაც იგი „ბელკა"-სთან ერთად იყო აღბეჭდილი. მოვძებნეთ სმაგინის ბიძა, ის, ვინც ხსენებული იარაღი აჩუქა, შემდეგ ვნახეთ სასროლეთი, სადაც სროლაში ვარჯიშობდა.

მახსოვს, მივედი სავარაუდო მკვლელის სახლში, მის მამასთან, სადაც უკვე ჩატარებული იყო რამდენიმე ჩხრეკა და მაინც, რაღაცამ გვიბიძგა, ერთხელაც გვეცადა ეს ხერხი.

და აი, ვიპოვეთ რვეული ჩანაწერით: „მე დავხოცავ ყირგიზებს, სადაც არ უნდა ვნახო ისინი". ეს უკვე სერიოზული სამხილი იყო.

ამავე დროს ერთმა გამომძიებელმა ფანჯარაზე თითების ანაბეჭდები იპოვნა. შევამოწმეთ ეს ანაბეჭდები. პირველად საბჭოთა კავშირში ჩავატარეთ თითების ანაბეჭდების ბიოლოგიური ექსპერტიზა. სწორედ ეს ადამიანი სისხლის შემადგენლობითა და სხვა პარამეტრების მიხედვით, აღმოჩნდა დამნაშავე.

თითქოს ყველაფერი დამთავრდა, მაგრამ იარაღი, რომლის მეშვეობითაც ჩადენილ იქნა დანაშაული, არსად ჩანდა. ეს კი აუცილებელია. ამიტომ გადავწყვიტეთ კიდევ ერთი შესაძლებლობის გამოყენება.

მკვლელის მამა გახლდათ ადამიანი, რომელსაც არცთუ ისე კარგი ავტორიტეტი ჰქონდა. იგი პენსიაზე იყო, ნელა-ნელა ყიდდა თავის ნაშრომს: ხილს, ბოსტნეულს და სხვა. მაგრამ მისი შემოსავლის წყაროს სხვა საქმიანობაც წარმოადგენდა. იგი ვაჭრობდა ყაყაჩოს მცენარეულობით, უფრო ზუსტად ნარკოტიკების დასამზადებელი ნედლეულით. ვიპოვეთ საბოლოო პროდუქტიც – ოპიუმი, მართალია მცირე რაოდენობით, მაგრამ სავსებით საკმარისი იმისათვის, რომ დაწყებულიყო გამოძიება. ხელახლა დავკითხეთ ეს კაცი. მან გვაჩვენა იარაღის ადგილსამყოფელი. ასე რომ, ამ საქმეს წერტილი დაესვა.

ის ფაქტი, რომ რუსმა მოკლა ყირგიზი, ბევრისათვის ნაციონალისტურ ეჭვებს ბადებდა. კიდევ კარგი, რომ საღად მოაზროვნე ხალხმა აღმოფხვრა ასეთი ეჭვების საფუძველი.

დასაწყისი იხ. „საქართველო" №72–78.

გაგრძელება იქნება

## „საქართველოს არ გააჩნია დამოუკიდებელი პოლიტიკა“

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი ირინა სარიშვილი-ჭანტურია თვლის, რომ რუსეთის პრეზიდენტის ბორის ელცინის მიერ მოსკოვში შევარდნაძისა და ვლადისლავ არძინბას ერთ რანგში მიწვევა მიუღებელია.

მისი თქმით, „აფხაზეთის საქართველოს იურისდიქციაში დაბრუნებას რუსეთი იურიდიულ ბარიერებს უქმნის, რითაც აფხაზეთის პრობლემისადმი გაეროს, ეუთოსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების დამოკიდებულების ნეიტრალიზებას ცდილობს“.

გარდა ამისა, ედპ-ის ლიდერი თვლის, რომ „რუსეთს დიდებულად ესმის, რომ ადრე თუ გვიან აფხაზეთი დაბრუნდება საქართველოს იურისდიქციაში“.

როგორც საპარლამენტო ფრაქცია „აფხაზეთის“ წევრმა თორნიკე ფიფიამ უთხრა პრაიმ-ნიუსს, ბორის ელცინის მიწვევა „თამაშია, რომელიც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ აფხაზეთის პრობლემა ვერ გადაწყდება რუსეთის ჩარევის გარეშე“.

„დღეისათვის საქართველოს არ გააჩნია დამოუკიდებელი პოლიტიკა, – თქვა ფიფიამ – იგი მთლიანად რუსეთზეა დამოკიდებული“. (პრაიმ-ნიუსი)

## შევარდნაძესა და ილია მეორეს „უნიკალური“ ურთიერთობა აქვთ

ქვეყნის პრეზიდენტსა და სრულიად საქართველოს პატრიარქს შორის „უნიკალური ურთიერთობაა და ჩვენ მოგვაჩნია, რომ ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სტაბილურობისთვის საქართველოში“ – თქვა გუშინ საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა ნიკო ლეკიშვილმა თბილისში ვიზიტით მყოფ სრულიად აშშ-ისა და კანადის მართლმადიდებელი ეკლესიის მიტროპოლიტი თეოდოსიუსთან შეხვედრაზე.

სახელმწიფო მინისტრის თქმით, საქართველოში მიმდინარეობს ახალი ეკლესიების მშენებლობა, რაც საქართველოს ისტორიიდან გამომდინარე, ქვეყნის აღორძინებისა და სტაბილურობის მაჩვენებელია.

როგორც პრაიმ-ნიუსს უთხრა ნიკო ლეკიშვილმა, საქართველოში „არასოდეს გართულდება ურთიერთობა პრეზიდენტსა და კათალიკოს-პატრიარქს შორის, როგორც ეს რუსეთში მოხდა, როდესაც სინდისის შესახებ კანონპროექტის გამო გართულდა ურთიერთობები ბორის ელცინსა და ალექსი მეორეს შორის“.

„კანონი რელიგიის შესახებ, რომელსაც საქართველო მიიღებს, უფრო მჭიდროს გახდის ურთიერთობებს ხელისუფლებისა და ეკლესიის პირველ პირებს შორის“ – თქვა სახელმწიფო მინისტრმა.

„ჩემი საქართველოში ვიზიტის მიზანია საქართველოს ეკლესიისა და ხელისუფლებისადმი მხარდაჭერა“ – თქვა არქიეპისკოპოსმა თეოდოსიუსმა სახელმწიფო მინისტრთან შეხვედრაზე. (პრაიმ-ნიუსი)

# პროფესორი ალასანია მოერევა პროფესორ სიუნის?

მეოთხე გვერდიდან

დროის დადგომისთანავე საწადელსაც ეწევდნენ.

გალასანიას თანახმად სიუნის წიგნში „თვით დავით აღმაშენებლის მეფობაც კი, რომელიც იქვე მოტანილი მასალის მიხედვით ნაკლებად იძლევა საფუძველს პესიმიზმისათვის, მინორულ კილოზე მთავრდება“. უნდა ავუხსნათ სიუნის, რომ თუ ქართული სახელმწიფოებრიობა, სომხურისაგან განსხვავებით, გადაურჩა მოსპობას, ამაში განუზომელია დავით აღმაშენებლის ეპოქის წვლილი. დავით აღმაშენებლის წყალობით სომხებმა, რომლებიც მანამდე იძულებული გახდნენ მიეტოვებინათ სამშობლო, კვლავ პირი იბრუნეს თავიანთი ქვეყნისაკენ. ბიზანტიელებმა სომხური საპატრიარქოც მოაშორეს სომხეთს XI ს-ში. დავით აღმაშენებლის წყალობით სომხური ეკლესიის თავკაცებში გაჩნდა აზრი, რომ სომხური საპატრიარქო კვლავ სომხეთში დაებრუნებინათ ქართველების დახმარებით. მართალია, იმჟამად ეს არ მოხერხდა, მაგრამ თუ ამგვარი იდეა ცოცხლობდა და XV ს-ის პირველ ნახევარში სომხური საპატრიარქო გადმოიტანეს ეჩმიაწინში (ეჩმიაძინში), ეს საქართველოს დამსახურებაცაა.

როცა ვლაპარაკობთ სომხების როლზე XII ს-ისა და XIII ს-ის დასაწყისის საქართველოში, უნდა ვუთხრათ სიუნის, რომ ვინაიდან საქართველო სომხეთის გადასარჩენადაც იბრძოდა (ამას მოითხოვდა თვით საქართველოს სასიცოცხლო ინტერესები), აუცილებელი იყო სომხებთან თანამშრომლობა. იმდროინდელი სომხეთის (და კავკასიის) დიდი ნაწილი რომ საქართველოს სახელმწიფოს შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა, ეს სომხური მასალებიდანაც კარგად ჩანს. ასე მაგ., ერთი სომხური ხელნაწერის 1214 წ. ანდერძ-მინაწერში ნათქვამია, რომ ის გადაწერილია „საქართველოში ლაშას მეფობისას, რომელიც ფლობდა თბილისს, ანისს და ადრინდელ სომეხ, ალან და ალბანელ ხელისუფალთა მრავალ სხვა ქალაქს, კარინიდან (არზრუმიდან – ა.ა.) სპარსეთამდე“. მაშასადამე, სომხთა იმდროინდელი დედაქალაქი ანისი ისევე შეადგენდა მეფე ლაშა-გიორგის სამფლობელოს ნაწილს, როგორც თბილისი. მიუხედავად მონღოლთა საშინელი ბატონობისა, სომხეთი, კერძოდ, ერევანი კვლავ საქართველოს ნაწილად მიაჩნდათ სომხებს. 1336 წ. ანდერძ-მინაწერებში სომეხი მწიგნობარი ტერტერ ერევანცი ორჯერ აღნიშნავს: ყირიმში „მოვედი საქართველოდან, ხორ-ვირაპის და ეჩმიაწინის მეზობელ შესანიშნავ ქალაქ ერევნიდან“.

გ.ალასანიას სიტყვით, „როდესაც ომებისა და სხვადასხვა თავდასხმების შედეგად ადგილობრივი მოსახლეობა განსაკუთრებით მცირდებოდა, ქართველი მეფეები და მთავრები თვითვე უწყობდნენ ხელს სომეხთა ჩამოსახლებას საქართველოში და მათთვის კარგი პირობების შექმნას (დავით აღმაშენებელი, ლევან II დადიანი...)“. განა შეიძლება დავით აღმაშენებლისა და ლევან II დადიანის სომეხთა მიმართ პოლიტიკის ერთ სიბრტყეზე დაყენება? თუ დავით აღმაშენებელმა თითქმის მთელი კავკასიის მომცველი ძლიერი სახელმწიფო შექმნა, რომელშიც სომხებსაც, ბუნებრივია, გარკვეული ადგილი უნდა დაეკავებინათ კავკასიის სხვა ხალხების მსგავსად, XVII ს-ში, ლევან II დადიანის დროს ხომ საქართველო, ძირითადად გარეშე მტრის მცდელობის შედეგად, ცალკეულ სამეფო-სამთავროებად იყო დაქუცმაცებული, ქართველი მეფე-მთავრები ხშირად ერთმანეთს ებრძოდნენ და ერთიანი კავკასიური სახელმწიფოს ასაშენებლად მათ ძალა არ შესწევდათ. ამგვარი ამოცანის დასახვა, მისი სამთავროს გეოგრაფიული მდებარეობის გამო, კიდევ უფრო მეტად გაუძნელდებოდა ლევან II დადიანს, ვიდრე მაგ., ქართლის მეფეს. სომხებიც ლევან II-მ იმერეთის მეფის შინაომში დამარცხების შემდეგ იმერეთიდან, კერძოდ, ჩხარიდან გადაასახლა სამეგრელოში. დავით აღმაშენებელი კი მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში გაფანტულ სომხებს აბრუნებინებდა პირს კავკასიისაკენ.

გ.ალასანიას თანახმად, „არანაირი შეტაკებები საქართველოს მოქალაქე ქართველებსა და სომხებს შორის ისტორიაში ცნობილი არ არის, თუ არ ჩავთვლით 1197 წლის ფაქტს, როდესაც რელიგიურ ნიადაგზე დავის გამო ქართველებს თბილისში სომხთა ტაძარი დაუწვავთ“. ამის თაობაზე ცნობა შემორჩენილია სირიელი ბარ ჰებრეოსის მატიანეში და საკითხავია, რამდენად შეეფერება იგი სინამდვილეს. როგორც უკვე ითქვა, ქართულ-სომხური ეკლესიების ურთიერთობა მეტისმეტად გამწვავდა და სომხურ მატიანეებში (სტეფანოს ტარონეცის, მხითარ გოშის, კირაკოს განძაკეცის თხზულებებში) არის ცნობები სომეხ-ქართველთა შეტაკებების თაობაზე, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სამეფო კარი ყოველი ღონით ცდილობდა მსგავსი შეტაკებების თავიდან აცილებას. სტეფანოს ტარონეცის (ასოღიკის) ცნობით, სომხეთის პატრიარქის, ხაჩიკ I-ის (973-992) დროს, ე.ი. სომხთა მიმართ ფრთხილი პოლიტიკის გამტარებელი დავით კურაპალატის ხელმწიფობის ჟამს, იმ ხანებში ერთ-ერთი ყველაზე უფრო ცნობილი სომეხი ვართაპეტი (მოძღვარი) ოვანესი სიცოცხლეს გამოესალმა „გაცოფებული ქართველთა ტომისაგან მახვილით და დაიმარხა სავანეში, რომელსაც აკისგომი ეწოდება, ბასიანის მხარეში“. მხითარ გოშის სიტყვით, „ბერძნები და ქართველები იმდენად მგმობელნი არიან სომხებისა, რომ ნაკურთხ ეკლესიას აქცევენ, საკურთხეველს, რომელზედაც ქრისტესადმი მსხვერპლი შეიწირება, გარეთ აგდებენ და ამბობენ – ძაღლი დაიკლას სომხთა ეკლესიაში“. მხითარ გოში მიმართავს თამარ მეფეს, რომ მან შერისხოს ქართველთა გარკვეული წრე, რათა მათ „არ დაანგრიონ ღვთის ეკლესიები და არ დასწვან ჯვარი“. საკითხავია, გ.ალასანიასთვის უცნობია ამ სახის სომხური მასალები თუ მან ისტორიის შელამაზება მოინდომა? ალბათ, ერთიცაა და მეორეც.

გალასანიას განცხადებით, გვიან შუა საუკუნეებში ვაჭრების (იმ ხანებში საქართველო ვაჭრების უმრავლესობას სომხები წარმოადგენდნენ) „უფლებებს ქართული სამართალი და ქართველი მეფე იცავდა, ზოგიერთ შემთხვევაში მაშინაც კი, როდესაც მათი მოქმედება მაინცდამაინც არ პასუხობდა სახელმწიფო ინტერესებს“. რჩება შთაბეჭდილება, რომ იმდროინდელი ქართული სამართალი მეტისმეტად სულელური ყოფილა და ქართველი მეფეებიც უჭკუოები, რადგან ქვეყნის გამყიდველ სომეხ ვაჭრებს იცავდნენ. ასეთი განცხადების გაკეთება მკრეხელობაა, თუ მას არ მოყვება იმდროინდელი ვითარების დეტალური ანალიზი, რაც გ.ალასანიას წიგნაკში არ არის. გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს საშინელ ჟამთა სიავესთან დაკავშირებით შეიძლება გავიხსენოთ გ.ქიქოძის სიტყვები: „ძველი ქართველი საზოგადოება, არსებითად, მხედრული საზოგადოება იყო; დროგამოშვებით ის ნამდვილ სამხედრო ბანაკს წარმოადგენდა, რომელიც მუდამ მზად უნდა ყოფილიყო ბრძოლისა და თავდაცვისათვის. საქართველოს ტერიტორიის სიმცირის გამო მტრის შემოსევას მთელი ქვეყანა გრძნობდა უშუალოდ. მთელი ხალხის ენერგია დაძაბული იყო. ყოველი ჯანსაღი მამაკაცი ჯარისკაცი იყო. ის მუდამ შეარაღებული უნდა ყოფილიყო; ყოველ დედაკაცს განსაკუთრებული ზნეობრივი ძალა და თაოსნობა უნდა გამოეჩინა ომის დროს“. საქართველოს იმ ხანებში მთელი გარემომცველი მაჰმადიანური სამყაროს შემოტევების მოგერიება უხდებოდა და რადგან ვაჭრობაც ამ მაჰმადიანურ ქვეყნებთან ან ამ ქვეყნების გავლით უნდა ეწარმოებინა, ისინი ქართველ ვაჭრებს არ ენდობოდნენ, არ გაახარებდნენ. სომეხ ვაჭრებს კი სომხური სახელმწიფოს არარსებობის გამო ირან-ოსმალეთში არ დევნიდნენ. ამის გამო მომრავლდნენ სომეხი ვაჭრები საქართველოში და ქართველი ვაჭრებიც იძულებული ხდებოდნენ გასომხებულიყვნენ. გარდა ამისა, რადგან გვიან შუა საუკუნეებში სომხეთი თითქმის მთლიანად დაიცალა სომხური მოსახლეობისაგან (1827 წლისათვის სომხეთში ცხოვრობდა მხოლოდ 25 ათასი სომეხი), ეჩმიაწინის საპატრიარქოს არსებობისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სომხური მოსახლეობის ცხოვრებას მეზობელ ქრისტიანულ საქართველოში. ამის გამოც მომრავლდნენ სომხები საქართველოში და რადგან იმ ხანებისთვის ვაჭრობა-ხელოსნობა მათთვის ტრადიციულ საქმიანობად ქცეულიყო, ჩვენს ქვეყანაშიც ამ დარგს ეტანებოდნენ.

გ.ალასანია არ განიხილავს სიუნის აზრს იმის თაობაზე, რომ XIX ს-ის დასასრულს რუსეთის ხელისუფლებამ, თითქოს, ქართველები მიუსია სომხებს. რუსეთს როცა რა დაჭირდებოდა, იმას გააკეთებდა, მაგრამ საერთოდ პირიქით იყო. რუსეთი საქართველოს სომხურ მოსახლეობას იყენებდა ქართული სახელმწიფოებრიობის მოსპობად და მისი აღდგენის ცდების ალაგმვისთვისაც. რუსეთის მთავრობის მოხელეები თვითონვე აცხადებდნენ: „სომხები დიდად აფასებდნენ ჩვენი მართვა-გამგეობის უპირატესობას... ჩვენ მხარეზე იყვნენ. რადგანაც სომხები შიშობდნენ, ვაი თუ ძველი საქართველოს დრო დაბრუნდეს და თან მოჰყვეს აურზაურიო, ყოველ ღონისძიებას ხმარობდნენ და მეცადინეობდნენ, რომ მალე ჩაგვექრო აჯანყება“. ნაგულისხმევია 1812 წ. კახეთის აჯანყება. რუსეთმა რომ სომხები შემოუსია საქართველოს, კერძოდ, თბილისს, ამის დასტურია ისიც, რომ თბილისის ცენტრალურ მოედანს XIX ს-ისა და XX ს-ის დასაწყისში ერევნის მოედანი ერქვა (ახლანდელი თავისუფლების მოედანი). მსგავსი ფაქტებიც აძლევდა ზოგ-ზოგებს საფუძველს თბილისი სომხურ ქალაქად გამოეცხადებინათ. ამაში უცხოელებსაც არწმუნებდნენ. 1881 წ. თბილისში გამართულ რუსეთის არქეოლოგთა V ყრილობაზე ცნობილ აღმოსავლეთმცოდნეს, პროფესორ დ.ხვოლსონს თავის სიტყვაში უთქვამს: „მე ბედნიერი ვარ, რომ ვიმყოფები სომხეთის დედაქალაქ თბილისშიო“. ილიას, აკაკის და მათ თანამოსაგრეებს არ უნდა ებრძოლათ იმისათვის, რომ მრავალტანჯული საქართველო XIX-XX სს-ის მიჯნაზე არ გადაშენებულიყო?

გ.ალასანია ჯეროვან პასუხს ვერ სცემს სიუნის იმ ბრალდებასაც, თითქოს, 1918-1921 წლების საქართველოში სომხებს ავიწროებდნენ. ცნობილია, რომ სომხეთის მთავრობამ 1918 წ. ბოლოს ჯარი შემოუსია საქართველოს. მათ მიზნად დაისახეს ქვემო ქართლის, თბილისის და ჯავახეთის დაპყრობა, მოახერხეს საქართველოს სომხური მოსახლეობის გადაბირებაც. ამას რომელიმე სახელმწიფო მოითმენდა? სიუნის სიტყვით, სტალინი საქართველოს საჩუქრად აძლევდაო ტერიტორიებს. უნდა გვეთქვა სიუნისათვის, რომ 1921 წელს რუსეთის მთავრობამ საქართველოს ჩამოართვა ძირძველი ქართული მიწა-წყალი ლორე-ტაშირი (რომლის მტერთაგან დაცვას საუკუნეთა მანძილზე ვინ იცის, რამდენი ქართველის სიცოცხლე შეეწირა) და უბოძა სომხეთს.

**ალექსანდრე აბდალაძე**

## [illegible] კომიკური სასამართლო პროცესი

დიდუბის რაიონის სასამართლოში განახლდა სასამართლო პროცესი შალვა რჩეულიშვილს, მიხეილ მაჭავარიანსა და გიორგი ბარამიძეს შორის. პროცესი კვლავ გიორგი ბარამიძის დაკითხვით დაიწყო, მაგრამ იმის გამო, რომ რჩეულიშვილს 45 კითხვა ჰქონდა ჩამოწერილი, გიორგი ბარამიძე კი იაპონიაში მიემგზავრებოდა და დღის პირველ საათზე აეროპორტში უნდა ყოფილიყო, სასამართლო პროცესი ერთი კვირით გადაიდო.

მოსარჩელეების წინადადება, გიორგი ბარამიძის ნაცვლად კითხვებზე პასუხი მიხეილ მაჭავარიანს გაეცა, ადვოკატმა რჩეულიშვილმა კატეგორიულად უარყო. „ჩემთვის ცხადია, რა მიზნის მიღწევა სურს შალვა რჩეულიშვილს. მას არავითარი მტკიცებულება არა აქვს და სასამართლოს დარბაზში დასმული კითხვა-პასუხით ცდილობს მტკიცებულებების შეგროვებას. სასამართლო პროცესს კი გაუთავებელი პრეს-კონფერენციების ჩატარებისთვის იყენებს“, – განაცხადა ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირის“ თავმჯდომარემ გიორგი ბარამიძემ. მისი აზრით, ამგვარი პროცესი მიზნად არ ისახავს ჭეშმარიტების დადგენას, რადგან ოპონენტი ცდილობს პოლიტიკური პროცესის წარმართვას.

რაც შეეხება რჩეულიშვილის მიერ ბარამიძისადმი დასმულ კითხვებს, ფაქტობრივად ყველა კითხვა ერთი შინაარსის იყო: ისახავდა თუ არა მიზნად გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ 3 ივნისს გამოქვეყნებული გიორგი ბარამიძის ინტერვიუ, ბანდიტობასა და ყაჩაღობაში ეჭვმიტანილი ფირმა „ელიზის“ ხელმძღვანელის, თამაზ ელიზბარაშვილის მხარდაჭერას. რჩეულიშვილმა მაინც დაასკვნა, რომ ამ პუბლიკაციის გამოქვეყნებით დასტურდება, რომ „ელიზის“ უკან დგანან მიხეილ მაჭავარიანი და გიორგი ბარამიძე. აღსანიშნავია კიდევ ერთი გარემოება. „საქართველოს რესპუბლიკის“ პუბლიკაცია, რომელსაც „ნივთმტკიცებულებად“ იყენებს ადვოკატი რჩეულიშვილი, გამოქვეყნდა 3 ივნისს, მაშინ, როცა თავად შალვა რჩეულიშვილის ინტერვიუ „ახალ თაობაში“, სათაურით „ელიზის“ უკან მაჭავარიანი და ბარამიძე დგანან“, გამოაქვეყნეს 25 მაისს. როგორც მიმჩნევანთა ადვოკატმა, კობა დავითაშვილმა, ისე მოსამართლემ აღიარეს, რომ 3 ივნისის პუბლიკაციით შეუძლებელია რჩეულიშვილის განცხადებების სამართლიანობის დამტკიცება. (გეა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საავტორო გვერდი

# რანი ვართ, რანი უნდა ვიყოთ?

დღეს განსაკუთრებული დროა. დღეს საქართველო იფერფლება ფენიქსივით და ისევ იმ ცეცხლში აღორძინდება მისი უკვდავება, რომელშიც ჩაიფერფლა ყოველი ძველი და უვარგისი, ჯიუტი და მცდარი.

. დღეს გვეძლევა საშუალება დავასრულოთ ისტორიული გაუთავებელი დავა და სამართლის ერთადერთი უზენაესი კანონი ძმობა მივიღოთ. ძმობის ნასახი რომ აღარ გაგვაჩნია ეს ფაქტია და თუ რატომ დავკარგეთ, რატომ უნდა დავუბრუნდეთ მას და ვინ შემოგვთავაზა და რატომ იყო უარყოფილი, - ამას განვმარტავ.

საჭიროა სრულიად ახლებური ანალიზი ისტორიისა. არავის უნდა დაინახოს ჩვენი ევოლუციის ძირითადი მომენტი. არა და რა ნათელია იგი: ყველაფერი იმით დაიწყო, რომ რომის იმპერია და იესო ქრისტე თანამედროვენი არიან. იესო ქრისტემ სულიერი განძი, - ძმობა შესთავაზა სამყაროს და ამით მშვიდობის კულტურა გაგვაცნო. მაგრამ კაცობრიობა უმეცრების გამო უარჰყოფს მშვიდობის კულტურას, და უძლები შვილი უფლისა, კაცობრიობა განვითარების გრძელ გზას, - ომის კულტურას ირჩევს. იგი საკუთარი ტანჯვისა და სისხლიანი გზით 2000 წლის მანძილზე რწმუნდება მაცხოვრის იმ უზენაეს ჭეშმარიტებაში, რომ სიყვარული და გულმოწყალეობა ყოველ სიბრძნეზე და მართლმსაჯულებაზე მეტია. რწმუნდება, მაგრამ ჯიუტად აგრძელებს უძლების გზას და დასასრული არ უჩანს ქრისტეს დროს დაბადებული კაცობრიობის ოქროს ციებ-ცხელებით ავადმყოფობას. არადა რა ახლოს ვყავით ხსნასთან, და თუ აკაკი წერეთელს მოვუსმენთ, თურმე ჩვენ, ქართველებს უკვე გვქონდა ღვთის საუფეველი მოპოვებული, მაგრამ ამაზე ცოტა მოგვიანებით. ახლა კი სახარება გადავშალოთ: უფლის მეოთხე პასუხი:

9. ეძიე დიადი, ესე იგი ჩემი სასუფეველი, მაშინ მცირე ამა ქვეყნისა თავად გიპოვის შენ. ხოლო თუ გექნება სწრაფვა პატარისაკენ ამ წუთისოფელში, მაშინ იცოდე, შეიძლება რომ დიდმა უარგყოს შენ!

10. მაგალითად შენ დაამწყვდიე საპყრობილეში ბოროტმოქმედი, რომელსაც შენი ბრძნული კანონების თანახმად სიკვდილით დასჯა ელოდება!

11. მე კი გეუბნები შენ, რომ სიყვარული და გულმოწყალება სიბრძნეზე და მართლმსაჯულებაზე მეტია!

12. მოექეცი მას სიყვარულითა და გულმოწყალების კანონის თანახმად და შენ საუკუნოდ ჩემთან იქნები და მასთან რომლისაგანაც მე გამოველ და შევიქმენ კაცის ხატად!"

ეს იყო მშვიდობის კულტურის - ძმობის შემოთავაზება, მაგრამ კაცობრიობამ რომის იმპერიის სახით უარჰყო იგი, ჯვარს აცვა და ომის გზას დაადგა.

რომის სამართალს 2000 წლის ევოლუცია დასჭირდა, რათა ემხილა პილატე როგორც ბოროტმოქმედი: მან ადამიანს კი არა, მაცხოვარს აართვა სიცოცხლე. ასეთი მკაცრია მე-20 საუკუნის სამართალი: ხელის დაბანაც კი უდიდესი დანაშაულია არამც თუ უშუალო ბოროტმოქმედება და კაცის კვლა. ეს ახლა და მაშინ?..

მაშინდელმა შემზარავმა დანაშაულმა ხელი გაუხსნა ბოროტებას და მას აქეთ სისხლში ვიხრჩობით ჩვენ, ოქროში მოძალადენი და ვერა და ვერ გაძღნენ ოქროთი, აკი ამიტომაც დაერქვათ მათ უძლებნი.

მაგალითისათვის თუ რა ხდებოდა მაშინ, გაი სვეტონი ტრანკვილის „12 კეისრის ცხოვრების" მთავარი გმირის იულიუს კეისრის ცხოვრების ერთ ილუსტრაციას შეგახსენებთ: „იულიუს კეისარი, გნებავთ როგორც მხედართმთავარი, გნებავთ როგორც სახელმწიფო მოღვაწე არ გამოირჩეოდა უანგაროებით...

...გაძარცვა ლუზიტანიის ქალაქები, თითქოს მტრებისა ყოფილიყო... გალიაში გაძარცვა ყველა ტაძარი და სალოცავი...

...ნადავლისათვის აძარცვინებდა ქალაქებს. სამაგიეროდ მას აურაცხელი ოქრო ჰქონდა... თავისი პირველი კონსულობისას მან კაპიტოლიუმიდან მოიპარა 3000 ფუნტი ოქრო. ...პტომელეს თავისი სახელით აართვა 3000 ტალანტი.

...ყვებიან, რომ (სამოქალაქო ომის დასრულების შემდეგ) მას ტრიუმფალური სვლის დროს 60,5 ათასი ტალანტი ვერცხლი და 2822 ოქროს გვირგვინი მოჰქონდა, რომელთა საერთო წონა 2414 ფუნტს შეადგენდა.

...ასე გადაიქცა რომის სახელმწიფო დომენად, კერძო პირის, კეისრის, იმპერატორის კერძო საკუთრებად". (К.Каутский "Происхождение христианства").

ყველამ იცის, ჩვენი ისტორია ქრისტეს ჯვარცმიდან დღემდე, როგორ აივსო ოქროსა და სისხლის ოკეანეებით. ვერა და ვერ ისწავლა კაცობრიობამ, რომ ძირითადი საკითხი კერძო საკუთრების არასწორი ინტერპრეტაციაა ისტორიის შინაარსი. სოციალისტურმა სამყარომ გაეციო და ყველაფერი წაიყოლა, ჩვენ არა გვასარგებლა რა, კაპიტალიზმმა ყველაფერი მიისაკუთრა და ისევ ისე დავრჩით ჩვენ. არადა პოლიტიკური სისტემების განვითარება არ ყოფილა ისტორიის შინაარსი, არამედ მოვალეობის, ძმობის იდეა უნდა გამოგვეტანა ისტორიიდან. ყველაფერი ძმობაში წესრიგდება.

დღეს ამ იდეას უამრავი მოაზროვნე იზიარებს და ზოგიერთი მათგანის აზრი ფრიად საინტერესოა.

ლეონ ლამბერი. ბელგიელი ბანკირი - მსოფლიო იმიჯის მქონე საფინანსო ელიტის წარმომადგენელი. დღევანდელი კატასტროფის წინაშე იგი ამბობს: „რომელი ბრძენი გაგვიძღვება და ვინ გაჰყვება მას? მანამდე კი ჩვენ მივეშურებით სანუკვარი ნაპირებისაკენ მთლიანად ტალღების ნებას მინდობილნი. საჭიროა გემების ჩაძირვა?! და თუ საჭიროა, რამდენისა, ვიდრე ჩვენი იდეოლოგები ისწავლიან ადამიანისა და მისი გარემოცვის პატივისცემას ყოველსა ზედა...

...საყოველთაოდ აღიარებული ნორმების უგულებელყოფა არ ჩაითვლის დაუსჯელად. ადამიანს არა მარტო უფლებები, არამედ მოვალეობანიც გააჩნია. ადამიანის უფლებათა ქარტია, ადამიანის მოვალეობათა ქარტიის გარეშე წარმოუდგენელი უაზრობაა. ასწავლო ადამიანს საკუთარი საქციელის პასუხისმგებლობის ტვირთის ზიდვა - განა ეს არაა უმთავრესი სოციალური ვალდებულება? ხომ არ არის საზოგადოების განვითარების უნარი მთლიანად დამოკიდებული ადამიანთა იმ რიცხვზე, რომლებსაც ესმით ეს პასუხისმგებლობა?

...ჩვენს მეტად განათლებულ დროში ყველაფერს აქვს თავისი ახსნა...

...მაგრამ თუ სერიოზულად ვილაპარაკებთ, ყველაფერი ამ ყველაზე გახრწნილ საზოგადოებაში, ყველაზე უარესისაკენ მიემართება. კაცობრიობას არასოდეს ჰქონია ცოდნის ჩვენნაირად დიდი დონე, მაგრამ არასოდეს ექცეოდა მომავალ თაობებს ისეთი უპასუხისმგებლობითა და უდარდელობით, როგორც ამას ვაკეთებთ ჩვენ. გაშმაგებული მარულით მივქრივართ უფსკრულისაკენ..."

ზნეობრივი კატეგორიების სრული უქონლობა კატასტროფის წინაშე აყენებს ყოველს. აღარავინ არის დაცული, აღარავის აქვს არც თანამდებობრივი, არც ქონების იმუნიტეტი და შეშფოთდა ყველა. შეშფოთდა არა ალტრუიზმით ამოძრავებული, არამედ საკუთარი ტყავის დაკარგვის შიშით და ლამობენ რა გადარჩენას, თვითონვე აღმოაჩენენ ზნეობის უზენაესი კანონების აუცილებლობას. აი, კიდევ ერთი მათგანი, მეტად ცნობილი ჯორჯ სოროსი, ამერიკელი მილიარდერი.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რაც უკვე მოგახსენეთ, რომ არც ერთი პოლიტიკური სისტემა ქრისტეს მოსვლიდან დღემდე არ ყოფილა ევოლუციის მიზანი, მაშინ გასაგები გახდება მილიარდერის შემდეგი განცხადება: მე გავაკეთე ჩემი ფული მსოფლიოს საფინანსო ბაზრებზე, მაგრამ დღეს მეშინია, რომ უკონტროლო კაპიტალიზმი და საბაზრო ფასეულობათა წარმოდგენების სიცოცხლის ყოველ სფეროზე განვრცობა საფრთხის ქვეშ აყენებს ჩვენი ღია, დემოკრატიული საზოგადოების მომავალსა და არსებობას.

შემდეგ იგი მცდარ დასკვნას აკეთებს:

დღეს ღია საზოგადოების ძირითად საშიშროებას არა კომუნიზმი, არამედ კაპიტალიზმი წარმოადგენს.

ეს შეცდომაა, რადგან ძირითადი საშიშროება უზნეობაა და ზნეობრივად მოწესრიგებული საზოგადოება იერარქიულია და არა პოლიტიკური. ეს განცხადება მით უფრო მიუტევებელია მისგან, რამეთუ ჯორჯ სოროსი თვითონვე აცხადებს, რომ ყოვლის მომწესრიგებელი ზნეობის უდიდესი კატეგორიები, - მოვალეობის მცნებანი მართავენ საბაზრო ეკონომიკას.

„ეკონომიური თეორია აქსიომატიური სისტემაა: ვიდრე ძირითადი ჰიპოთეზები ძალაში რჩებიან, მათგან გარკვეული დასკვნებიც გამომდინარეობს. მაგრამ თუ ჩვენ ღრმად გავაანალიზებთ მათ, დავინახავთ, რომ რეალური ცხოვრებისათვის ისინი გამოუსადეგარია.

მე არ მინდა ვთქვა, ამბობს ჯ.სოროსი, რომ ეკონომიური თეორია პოლიტიკური მიზნების მისაღწევად განზრახ ამახინჯებს სინამდვილეს. მაგრამ ცდილობდა რა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების წარმატების მიღწევას (და ამით პრესტიჟის შექმნას), იგი შეუძლებლისკენ მიემართებოდა.

მარტო ამ აღმოჩენისათვის მას უკვე ეკუთვნის მშვიდობის ნობელის პრემია „საზოგადოებრივ მეცნიერებათა სფეროში, თეორიებს გააჩნიათ უნარი საგანთა თვისებების შეცვლისა. ეკონომიურმა თეორიამ განხილვიდან განზრახ გამორიცხა უკუკავშირები. ამით მან თავისივე შესწავლის საგანი დაამახინჯა და ექსპლოატაციის წინაშე უძლური აღმოჩნდა".

უკუკავშირები, უპირველესად ყოვლისა, ზნეობრივი კატეგორიებია და ეს კატეგორიები ისტორიული ფორმაციების ევოლუციის შედეგად სოციალიზმმა, ერთის მხრივ მარადიულ ფასეულობებად გამოაცხადა და თვითონვე პირფერულად, უსინდისოდ უღალატა მათ. კაპიტალიზმმა კი მეორეს მხრივ საბაზრო ფასეულობებად გამოაცხადა და თავისივე პირმშო, - ღია საზოგადოება აშკარა საფრთხის წინაშე დააყენა.

ამას ხედავს ეს უდიდესი ფინანსისტი და ასევე უდიდესი მოაზროვნე. იგი განაგრძნობს: „იმ დროს, როდესაც იბადებოდა ეკონომიური თეორია - ადამ სმიტის, დავით რიკარდოსა და ალფრედ მარშალის ეპოქაში, ეს გონივრული თეორია იყო, რადგან ადამიანებს მართლაც ჰქონდათ მტკიცედ ჩამოყალიბებული ზნეობრივი თვისებები. თავად ადამ სმიტი მეტად მოხდენილად უთავსებდა ზნეობრივ ფილოსოფიას თავისსავე ეკონომიკურ თეორიას. ქვეცნობიერად, მიუხედავად პიროვნული მისწრაფებებისა, საბაზრო პირობებში, ადამიანები ზნეობრივი პრინციპებით ხელმძღვანელობდნენ, რომლებიც საბაზრო წარმოდგენებს სცდილდებოდნენ.

საბაზრო მექანიზმის გავრცელებასთან ერთად მეტად ძნელდებოდა იმ ფანტაზიის დამტკიცება, თითქოს ადამიანები ურთიერთდამოკიდებულებებში არასაბაზრო ფასეულობები ხელმძღვანელობდნენ. საკუთარ პრინციპებში რწმენამოკლებული ადამიანები სულ უფრო მეტად ენდობიან ფულსა და წარმატებას, როგორც ფასეულებათა კრიტერიუმებს. ითვლება, რომ უმჯობესია ის, რაც უფრო ძვირია. ის, რაც წარსულში პროფესია იყო, ბიზნესის ფორმად გადაიქცა. პოლიტიკოსებს, რომლებიც იმ იდეებს იცავენ, რაც მათ არჩევას ხელს უშლის, როგორც უიღბლო მოყვარულებს, ისე ჩამოწერენ ანგარიშიდან. საგანმა, რომელიც ადრე მიმოცვლის საშუალებას წარმოადგენდა, ფუძემდებლური ფასეულობების ადგილი დაიპყრო და ამით თავდაყირა დააყენა ის დამოკიდებულებები, რომლებიც ეკონომიკური თეორიის მიერ იყვნენ პოსტულირებულნი. წარმატების კულტმა განდევნა რწმენა პრინციპებისა. საზოგადოებას ეტლი გაექცა".

დღევანდელი საქართველოს ზუსტად დღევანდელი დიაგნოზი დაისვა ოკეანის იქიდან ამერიკელი ბიზნესმენის მიერ.

აღიგავა ადამიანთა გულებში პრინციპები: ოქრო, ოქრო, მხოლოდ ოქრო. აი, დღევანდელი ბიზნესის ფსიქოზი და... შიმშილი და სიღარიბე, პირფერობა, ფანჯრიდან გადმომხტარი გაგიჟებული დედები...

დროა სიტყვა შევასრულო და შემოგთავაზოთ დიდი აკაკის უაღრესად ქრისტიანული არსით აღსავსე ლეგენდა. არ ვყავით ქართველები ისეთები, როგორც დღეს, ჩვენ სხვანაირი, ბუნებით თანდაყოლილი ქრისტიანები გახლდით და იგივე ბუნებას უნდა დავუბრუნდეთ. მაშ ასე, დიდი მგოსანი ბრძანებს:

ალექსანდრე მაკედონელმა როცა მთელი აზიის დაპყრობა მოინდომა, საქართველოზეც გამოილაშქრა. მაშინ მეფობა არ იცოდნენ. მამასახლისობა იყო ჩვენში და მცხეთის მამასახლისი, როგორც ყველაზე უფროსი, განაგებდა ქვეყანას. მამასახლისმა მოულოდნელად მოსულებს მოციქულები შეაგება და მოიკითხა ძღვენით. ოქროს ხონჩაზე ოქროს შოთები ეწყო.

ალექსანდრეს გაეცინა და იკითხა: თქვენში ნამდვილი პური არ მოდის, რომ ხონჩაზე ოქროსი დაგილაგებიათო? როგორ არაო? მიუგეს მოციქულებმა,- ჩვენში კი მოდის, მაგრამ ჩვენ გვეგონა, თქვენში არ მოდიოდა, თორემ ამ სიშორეს რა წამოგიყვანდათო!

მოეწონა მეფეს მათი პასუხი და მოინდომა რამდენიმე დღით სწვეოდა მამასახლისს.

ერთხელ მამასახლისი ხის ძირას მჯდარი ასამართლებდა მომჩივრებს, წამოიჩოქა ერთმა და მოახსენა:

„დიდებულო ბატონო, ამ კაცს, - მიუთითა მეორეზე, - მე მივყიდე ცარიელი ადგილი სამოსახლოდ. მაგან მოინდომა სახლის დადგმა და როცა საძირკვლის თხრა დაიწყო, მიწაში ორმო ნახა, შიგ დიდძალი განძი იყო: ოქრო, ვერცხლი, თვალი და მარგალიტი. ახლა მოსულა ჩემთან და მეუბნება: მე განძი კი არ მიყიდია, ცარიელი ადგილი ვიყიდე და განძი კი შენია და შენვე უნდა წაიღოო!

...უნდა რომ უსამართლობა ჩამადენინოს და უბრძანეთ, თვითონ წაიღოს და ღმერთმა მოახმაროს, რაც უპოვნიაო".

შენ რაღას იტყვიო, - მიუბრუნდა მსაჯული მოპასუხეს.

- მე რა მაქვს სათქმელი, შენი ჭირიმე? - მიუგო მოპასუხემ.

- მე ადგილი ვიყიდე და თუ იქ მიწაში რამე აღმოჩნდა, მაგისი იქნება და არა ჩემი. უბრძანეთ, რომ წაიღოს და მე თავი დამანებოს, უსამართლობას ნუ ჩამადენინებსო.

დაფიქრდა მსაჯული: მერე აიღო თავი და მიუბრუნდა მომჩივანს:

- ვაჟიშვილი გყავს?

- გახლავთ ერთი ღვთის წყალობა!

- უცოლოა?

- საცოლო გახლავთ!

- შენ? - მიუბრუნდა მოპასუხეს, - ქალიშვილი გყავს?

- მყავს გასათხოვარი.

- მაშ მოილაპარაკეთ ერთმანეთში, ის ქალვაჟი შერთეთ ერთმანეთს და განძიც მზითევში გაატანეთ. ეს მაშინ, თუ ქალ-ვაჟს ერთმანეთი მოეწონოთ, თუ არა, მიაყარეთ იმ განძს მიწა, - დატოვეთ ისე, როგორც ყოფილა! ნულარც შენ და ნულარც შენაო.

ალექსანდრეს გაეცინა: ეგ სამართალი ახირებულად მიმაჩნიაო.

- მაშ თქვენში რომ მომხდარიყო ამისთანა ამბავი, რა განჩინებას დასდებდნენ? - დაეკითხა მამასახლისი.

- განძს სახელმწიფოდ შერაცხდნენ.

- სახელმწიფოდ?! სხვის საკუთრებად?

- რა საკვირველია, თუ პატრონი არ გამოუჩნდებოდა!..

ჰმ!.. მზე ამოდის თქვენში?

- ამოდის!

ჰმ!.. წვიმაც მოდის ხოლმე?

მოდის.

-მაშ ჩანს, რომ პირუტყვები არიან თქვენში კარგი და ზეციური მადლი, - მზეცა და წვიმაც, - მათთვის ყოფილა და არა ადამიანებისათვის, რომელნიც არ ვარგებულან თქვენშიო!

ეს სიწმინდე, სამწუხაროდ, წარსულში დაგვრჩა, მაგრამ მაინც ჩვენი ეროვნული სულიერების ნიშანია, რომელიც ასე ლამაზად გამოსჭვივის ზოგჯერ ექვთიმე თაყაიშვილის მსგავსი ადამიანების სახით. ამიტომაც ესოდენ დიდი განსხვავება წარსულსა და დღევანდელობას შორის მართლაც ისეთი შემზარავია, რომ ემოციურ ადამიანებს აღშფოთება იპყრობს, სხვებს ჩააფიქრებს და ეროვნული ცნობიერებისადმი მიძღვნილ მანიფესტს დააწერინებს.

საჭიროა ეროვნული და არა მარტო ეროვნული, - საკაცობრიო ცნობიერების შექმნა და დაიბადა მანიფესტი. ეროვნული თვითშეცნობის მანიფესტი:

„...მიმდინარეობს მსოფლიოს სახეცვლილების პროცესი.

...დაუშვებელია სახელმწიფოს შექმნას პარალელურად არ გასდევდეს ეროვნული ცნობიერების მოწესრიგების დიდი საქმე.

ეროვნული ცნობიერების მოწესრიგების გარეშე არც შეიქმნება სახელმწიფო: მას არ ექნება შინაარსი, იგი იქნება უსახო.

...დგება ინტეგრაციის ტოტალური საუკუნე, ანუ დგება ეროვნული თვითმყოფადობის გამოცდის საუკუნე..."

სწორედ ეროვნული თვითმყოფადობის ნიადაგზე, ეროვნული ცნობიერების მოწესრიგების დიდ საქმეს ემსახურება ადამიანის მოვალეობათა დეკლარაცია, - მისი 33 მუხლი. მხოლოდ ორ მუხლს მოგახსენებთ.

მუხლი 12. ყოველი ადამიანი ვალდებულია იცოდეს საწყისი, რომელმაც ჩამოაყალიბა მისი განსხვავებული და განუმეორებელი ეროვნული ხასიათი და ამ საწყისზე დაყრდნობით გაალვივოს ხელოვნებისადმი და მწერლობისადმი საკუთარი მისწრაფება, ჯერ როგორც მაყურებელმა ან შემფასებელმა, შემდეგ როგორც სულიერი საგანძურის შემოქმედმა, რომელიც სრულჰყოფს ცხოვრების ფორმებს, ამაღლებს ადამიანებს, მათ გემოვნებასა და გონებას. ცხოვრების ფორმა ხომ სხვა არაფერია, თუ არა ერის სულიერი ანარეკლი.

მაშ ასე, ერის სულიერი ამაღლებისათვის ვეძიოთ ნათლის ფორმები, ნუ შეგვაშინებს ნათლის სიმცირე, რამეთუ დიდია მისი ძალა.

მუხლი 3.2. საქართველოს ყოველი მოქალაქე ვალდებულია შეძლებისდაგვარად დახმარების ხელი გაუწოდოს მოყვასს, დაეხმაროს ისე, რომ არ შელახოს ამ უკანასკნელის ადამიანური ღირსება.

ზუსტად საქართველოს სახელმწიფოებრიობის შექმნის დიდ საქმეს შეუძლებელია პარალელურად არ გასდევდეს ეროვნული ცნობიერების მოწესრიგების საქმე და ვინც ადამიანის მოვალეობათა დეკლარაციას გაეცნო, დამეთანხმება, რომ პროექტში ფუნდამენტალური საკითხებია აღძრული, რაც განხორციელების შესაძლებელ ვარიანტს წარმოადგენს.

განსაკუთრებული ძიება საჭირო არაა, რადგან არასრულყოფილება ზედაპირზეა, ბოროტება, რომელსაც ბოლო უნდა მოეღოს, - ყველასათვის ცნობილია, იარაღი?! იესო ქრისტემ მამაზეციერის ტოლი სრულყოფილების მოპოვების გზა მიგვანიშნა და მხოლოდ სრულყოფილების კანონის გამოყენებას ითხოვს ჩვენგან. სრულყოფილების გარეშე ბოროტების დამარცხების სხვა გზა არ არსებობს და ზნეობა სრულყოფილების საფუძველს წარმოადგენს.

ჩვენვე რომ არ დავარღვიოთ ადამიანთა მიმართებაში ზნეობრივი კანონი, ჩვენ უნდა გავმიჯნოთ ბოროტების ორი ნაირსახეობა.

უამრავი ბოროტმოქმედება განგსტერებისა და კილერების ჩათვლით უმეცრების ნაყოფია და სრულყოფილებისა და აღორძინების კანონი ბოლოს და ბოლოს მათაც მოაქცევს სიკეთისაკენ.

ჭეშმარიტად ბოროტი ადამიანები ისინი არიან, ვინც ცდილობს საკუთარი მოძმის ნებისმიერი ფორმით დამონებას, ვინც კრძალავს თავისუფლების გამომჟღავნების მოქმედებას, ექსპლუატირებულთა ხარჯზე აგროვებს დიდძალ ქონებას, მოგების მიზნით ცდილობს ხელში ჩაიგდოს მიწის ნაყოფი, რათა გაზარდოს ფასი სასიცოცხლო პროდუქტებზე და ვისაც დიდი ფული არა აქვს, - წირავს მათ. ვინც ამგვარად აზროვნებს, გეგმავს და ამგვარად მოქმედებს, - გაცნობიერებული ბოროტია და არა უმეცარი ბოროტი. ისინი, როგორც წესი, თავისი სიმდიდრის გამო მაღალ პრივილეგირებულ მდგომარეობაში იმყოფებიან, ცოდავენ ნათლის მიმართ და ყველა ერში გვხვდებიან.

რა თქმა უნდა, რომ მილიონებთან შედარებით ისინი მცირენი არიან, სამაგიეროდ განსაკუთრებით ძლიერნი, და მიზნის მისაღწევად არანაირ ხერხს არ ერიდებიან. მათი მეშვეობით მუშაობენ სატანური ძალები დედამიწაზე,ავრცელებენ სიღარიბეს, ამუხრუჭებენ ევოლუციას, ნერგავენ სიძულვილსა და რასობრივ დისკრიმინაციას, კლასობრივ განსხვავებას საკუთარი თავის სასარგებლოდ და ცდილობენ უმეცრება და უზნეობა გაამეფონ. ამიტომ მხოლოდ სწავლა-განათლება და ქრისტიანული მრწამსი თუ გადაგვარჩენს. ბოროტმოქმედნი დიდ ცოდვას ჩადიან, მათი შემობრუნება ძნელია, რადგან ძალაუფლება და მისკენ სწრაფვა მათი ცხოვრების დომინანტია. ასეთები მუშაობენ ერთად, დიდ გაერთიანებებში, და კაცობრიობის ხელითა და გარჯით მიწიერ განძეულობებს იხვეჭენ.

მაგრამ არ ჰქონია ქართველი კაცის ბუნებაზე არავითარი ძალა ოქროს და ადამიანის მოვალეობათა დეკლარაცია გამოაფხიზლებს ამ ბუნებას ადამიანებში გადავერჩებით თვითონ და გადავარჩენთ კაცობრიობას.

შეიკრა 2000 წლის წრე ქრისტეს მოსვლიდან.

ისევ ისტორიის გზაჯვარედინზე ვიმყოფებით. არჩევანის გაკეთებაა საჭირო, გამოცდილება გვაქვს და ვალდებულნი ვართ მშვიდობის კულტურა მივიღოთ. ომის სისხლიანი კულტურის გზა უკვე დავასრულეთ.

უფლება არა გვაქვს პოზიცია არ გამოვხატოთ, დაე, ყველამ იცოდეს ვინ არის ვინ.. სინათლის შვილი თუ ბნელეთის მოციქული. შუა წერტილი, - ნეიტრალიტეტი ანუ იგივე ხელის დაბანა აღარავის გამოუვა.

ნუ გავიმეორებთ ნურც ისტორიის სისხლიან ომის კულტურის გზას, ნურც პილატეს შეცდომას.

**თამაზ თავაძე**

# პარლამენტარის ერთი ლექსი

## ...სამშობლო და ღირსება?!



„მე მივდიოდი, მაღლა იდგა გემი „დალანდი",
როგორც ნარცისი თავის ლანდზე შეყვარებული".
გალაკტიონი

ლანდს დაგნებდი და, მაქციე ლანდად,
ლანდებით ვლანდავ, ლანდთან მაცილებ,
მოლანდებული ლანდების გარდა,
ლანდობას ვერვინ გამიბათილებს.
როგორ შეგბედო, საწუთროვ, ჩემო,
რომ ლანდად ყოფნა მე მატიალებს,
(გალაკტიონის დავლანდე გემი...),
დღეს თავს მოიკლავს მემატიანე.
ლანდის ამარას, გინდა გამიწყრე,
სიცხადე ამ ლანდს აღარ აკლია,
ვერ ეგუები? – ეს ლანდთსამიწე
კვლავ თეთრი დათვის ზოოპარკია!..
ამ უჟამო ჟამს გავექცეთ ეგებ,
ვიცი, გამქცევის რადა ღირს ქება,
ლანდთუხუცესო, ნუ ვიოცნებებთ, –
არ გვაქვს სამშობლო, აღარც ღირსება...
იმედის ძაფი გამწყდარა სრულად,
გადალანდულა წერტილი ათვლის,
ცისკენ მიმყვება მე ლანდის ქულა,
მიწად, ზეციურ სიკეთისათვის.

**გერმანე ფაცაცია**

თბილისი, 31•ივლისი, 1997 წ.

---

აკადემიკოს პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკურ-ჰუმანიტარული ინსტიტუტი
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის 5 ტელ. 99-60-20; 93-36-93; 99-59-09

## აბიტურიენტთა საყურადღებოდ!

თუ გსურთ:

საერთაშორისო მოთხოვნების დონეზე დაეუფლოთ ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებს;

მოისმინოთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა და ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსების, ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და უცხოეთში სერთიფიცირებული პროფესორ-მასწავლებლების ლექცია-სემინარები;

ისწავლოთ თანამედროვე კომპიუტერული სისტემით აღჭურვილ უმაღლეს სასწავლებელში;

შეისწავლოთ უცხო ენები თანამედროვე ტექნიკური საშუალებების გამოყენებით;

ისწავლოთ ქალაქის ცენტრში,

მიმართეთ აკადემიკოს პაატა გუგუშვილის სახ.საქართველოს ეკონომიკურ-ჰუმანიტარულ ინსტიტუტს, რომელიც აცხადებს მიღებას 1997–98 სასწ.წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

*1. სამართალმცოდნეობა (სისხლის სამართალი; სამოქალაქო სამართალი, სამეურნეო სამართალი, საერთაშორისო სამართალი);*
*2. ავტოტექნიკური ექსპერტი;*
*3. საგარეო უწყებათა მომსახურეობა;*
*4. ფინანსები და კრედიტი (საგადასახადო საქმე, საბანკო საქმე, საბაჟო საქმე, სახ.ბიუჯეტი, სადაზღვევო საქმე);*
*5. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები (საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების მენეჯერი, საერთაშორისო ბიზნესი, საერთაშორისო სავალუტო-საკრედიტო ურთიერთობები);*
*6. საბუღალტრო აღრიცხვა, აუდიტი, კონტროლი;*
*7. წარმოების ეკონომიკა და მართვა (მარკეტინგი, მენეჯმენტი);*
*8. საზღვარგარეთის ქვეყნების ენა და ლიტერატურა (ინგლისური, გერმანული, თურქული);*
*9. ჟურნალისტიკა;*
*10. ისტორია;*
*11. ქართული ენა და ლიტერატურა;*
*12. ხელოვნებათმცოდნეობა;*
*13. დაწყებითი პედაგოგიკა და მეთოდიკა;*
*14. პედაგოგიკა და ფსიქოლოგია – სკოლამდელი.*

ინსტიტუტში სწავლის ხანგრძლივობაა ოთხი წელი.

საბუთები მიიღება 9 აგვისტომდე, ყოველდღიურად (გარდა შაბათ-კვირისა) 11-დან 17 საათამდე III სართ. ოთახი 507. მისაღები გამოცდები დაიწყება 11 აგვისტოდან. მეორე ეტაპზე საბუთების მიღება გაგრძელდება ა/წ 25 აგვისტომდე, გამოცდები ჩატარდება 26-დან 31 აგვისტომდე.

საბუთები – საშუალო ან საშუალო სპეციალური განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, ფოტოსურათი 3/4 ოთხი ცალი. ლტოლვილები და მრავალშვილიანი ოჯახის წევრები გადაიხდიან სწავლის საფასურის 70%. წარჩინებული სტუდენტები განთავისუფლდებიან გადასახადისაგან და დაენიშნებათ სტიპენდია. ინსტიტუტში ფუნქციონირებს ბუღალტერიისა და უცხო ენების შემსწავლელი კურსები. მომავალში გათვალისწინებულია ბაზრის კონიუნქტურის შემსწავლელი ცენტრის დაარსება და მასში ინსტიტუტის სტუდენტების დასაქმება.

უმაღლესდამთავრებულები გასაუბრებით ჩაირიცხებიან III კურსზე.

საბუთები – უმაღლესი განათლების დიპლომის ასლი და ფოტოსურათი 3/4 ოთხი ცალი.

ინსტიტუტის დამფუძნებელია საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია.

რექტორია ამ აკადემიის პრეზიდენტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, **პროფ.ლეო ჩიქავა.**

---

# კაიფვორდი



მიმართულად: 1. „ეულად მყოფი" დაფასებული ადამიანი, რომელიც ნამდვილად „ღირს ერთ რამედ"; 2. ის, რაც ზოგს ვირისა აქვს თან დაყოლილი; 3. მძლეოსნობის „ბადიანი" სატყორცნი; 4. „ჭიჭიკიას ყიყინი"; 6. ცოცხალი სხეული, რომელიც „მხოლოდ ორგანაა"; 7. ის, რაც ცოდნის დედაა; 10. ჭაბუკი, რომელსაც თოჯინები კონსერვატორიას ერჩია; 14. „სახლში გაუთხოვარი დაბერებული" ქალი; 16. „სამუშაო" სოფელი დასავლეთ საქართველოში; 18. „იარებიანი" რაიმე საქმის ან დანაშაულის წარმოთქმა; 21. „ლიზა, რომელიც რეს ცეცხლს უკიდებს და გაციებულს ყიდის", განხორციელება; 22. ლიტერატურული ნაწარმოები, სადაც „ჩემთან ერთად ემუც არის ნახსენები"; 25. „ავი" შავოსანი ფრინველი; 27. „განზე მჯამელი" გეოგრაფიული ტერმინი (რუს.კავშ.); 28. ლითონის მილაკი, რომელიც „პელეს არ ეკუთვნის" (ნაწ.რუს.კავშ.); 30. ზოგ ხილში მყოფი „ქათმის" ნარჩენი (რუს.კავშ.); 32. „მუსულმანი ბაის" საკუთარი სახლი (ფარგ.).

მიმოლილად: 5. „ძარღვიანი ტილის ტორიანი" პაერგამწმენდი საშუალება (ნაწ.რუს.კავშ.); 8. „მირას" მორჩენება; 9. „ირას დაქალი", რომელსაც იგი ხელში იყვანს და „თვითონვე გაძლევს" (ნაწ.რუს.კავშ.); 11. ხილის „ცხვირი", რითაც იგი ტოტზეა მიმაგრებული; 12. გამოსაცდელი მოკლე ამოცანა, რომელიც „ეს შენ ხარო" გეუბნება (ნაწ.რუს.კავშ.); 13. „მარის საყვარელი" მწერალი, რობაიების ავტორი ბატონი ხაიამი; 15. „ქალი, რომელიც შვილად გეკუთვნის"; 17. მატყუარა, არაადამიანი, რომელიც „ლიდას ეუბნება წადიო" (რუს.კავშ.); 19. „ახალ იტალიის დედაქალაქში" გაჩითული მეფის შთამომავალი (რუს.კავშ.); 20. ლუმელი, რომელიც „სულ მარტო ტენის ფოლადს"; 23. „ყველი, რომელსაც ბევრი ფერი აქვს"; 24. ცეცხლმოდებული" ერთ-ერთი საზრდოთაგანი ჩვენი არსობისა; 26. ჯიბგირი, ვიგინდარა, რომელიც „ხულოში განზე ხტის"; 29. „საფანტივით კვერცხები"; 31. „კლეტკებიანი ვირი"; 33. ეს „სახელმწიფო ავტო ინსპექციის" საყვარელი გაზეთია, რომელიც ბევრ ადგილზე „ესო"; 34. „ვილის" ნამი დილ-დილაობით ბალახზე; 35. „შენს ორთქლში" გამობრძმედილი რაიმე დაჯგუფება (რუს.კავშ.).

**კობა ბაიდოშვილი**

---

## შემთხვევა ხაშურის რაიონის სოფელ რბონაში

3 აგვისტოს, საღამოს, ხაშურის რაიონის სოფ.რბონაში ჰაერში გაჟონა თხევადმა ქლორმა, რის გამოც მოსახლეობა პანიკამ მოიცვა. ამის შესახებ „იფრინდა"-ს კორესპონდენტს შსს-ს საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის დეპარტამენტიდან აცნობეს.

შემთხვევის ადგილზე გავიდნენ დეპარტამენტის შიდა ქართლის რეგიონალური შტაბის წარმომადგენლები.

როგორც „იფრინდა"-ს კორესპონდენტს დეპარტამენტის ხელმძღვანელობამ განუმარტა, სოფ. რბონაში, წყლის სათავე ნაგებობის ტერიტორიაზე მდებარე თხევადი ქლორის 900 კილოგრამიანი ცარიელი კონტეინერიდან, რომელიც მაღალ ტემპერატურაზე გადახურდა, გაჟონა კონტეინერის კედლებზე დარჩენილმა ქლორმა. მოსახლეობაში არავინ დაზარალებულა. დეპარტამენტის რეგიონალური შტაბის თანამშრომლებმა მიიღეს ზომები. კონტეინერს უახლოეს დღეებში გაიტანეს.

სპეციალისტთა დასკვნით, თხევადი ქლორი გამოიყენება სასმელი წყლის დასაქლორად და იგი ადამიანის სიცოცხლეს საფრთხეს არ უქადის. (იფრინდა)

---

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447
ფასი 50 თეთრი

დამფუძნებელი და გამომცემელი საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია.

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444